ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 ივნისი 2004 №134 (2153) ფასი 50 თეთრი

ზინედინი



ზიდანი 2:1 ინგლისი

REUTERS ლისაბონიდან

ზიდანის პენალტი ინგლისს განაჩენად ეჭცა

ფეხბურთის ერთი SHUT UP ENGLAND

Euro 2004 PORTUGAL
გიორგი დარჯანია

საფრანგეთი	13 ივნისი	ინგლისი
2	B ჯგუფი. I ტური ლისაბონი. ლუზი	1

0:1 ლამპარდი (38), 1:1, 2:1 ზიდანი (90, 90პ)
ბექემმა ვერ გაიტანა პენალტი (73, მეჯარე)

16 ბარტეზი	
15 ტურამი	13 სილვესტრი
5 გალასი	3 ლიზარაზუ
4 ვიეირა	6 მაკელელე
7 პირესი	10 ზიდანი
12 ანრი	20 ტრეზეგე

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

შეცვლა
პირესი — 11 ვილტორდი (76), სილვესტრი — 19 სანიოლი (79), მაკელელე — 8 დაკური (90)

1 ჯეიმსი	
15 კინგი	6 კემპბელი
2 გ. ნევილი	3 ე. კოული
11 ლამპარდი	4 ჯერარდი
7 ბექემი	8 სქოულზი
10 ოუენი	9 რუნი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი

შეცვლა
ოუენი — 23 ვასელი (69), რუნი — 21 ჰესკი (76), სქოულზი — 18 ჰარგრივსი (76)

გაფრთხილება: პირესი (49), სქოულზი (54), ლამპარდი (71), სილვესტრი (72), ჯეიმსი (90)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია). 65 000 მაყურებელი

ჯარიმა: 15-19; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 10-4; კარში დარტყმა: 9-2; თამაშგარე: 3-1

უცნაური თამაში იყო, რომლის ბოლო წუთებმა ალბათ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ლეგენდარული ფინალი გაგახსენათ.

თუ მეტოქეთა სახელებით ვიმსჯელებთ, ეს მატჩი უდავოდ უნდა ყოფილიყო ჯგუფური ეტაპის ყველაზე გამორჩეული დაპირისპირება და თუ რა მოხდა მის ბოლო წუთებზე, ვინძლო, კიდევ დიდხანს იყოს მსჯელობის საგანი. მაგრამ თუ შევაფასებთ არა ცალკეულ ეპიზოდებს, არამედ მთლიანად მატჩს, უნდა ვაღიაროთ, რომ მწირმომენტიანი იყო.

გავიხსენოთ: სამივე გოლი სტანდარტული სიტუაციებიდან გავიდა, ხოლო ისეთი მომენტები, რომლებსაც სახიფათოს ეძახიან, ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება და საერთოდაც, ძნელად თუ მოვიხსენიებთ უაღრესად სახიფათოდ.

თუ გნებავთ, ჩამოვთვალოთ: პირველ ტაიმში რობერ პირესმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდა, სადაც დავიდ ტრეზეგეს თავური ოდნავ ასცდა კარს. შესვენების მერე დევიდ ბექემმა გაისროლა შორიდან და ბურთი ისევ ოდნავ ასცდა კარს. მერე უეინ რუნი გადიოდა მეკარესთან პირისპირ და საჯარიმოში წააქციეს, დარიუს ვასელის ვერაგულად დარტყმული კი ფაბიენ ბარტეზს ცხვირში მოხვდა და სისხლი ადინა. ტიერი ანრიმ ძალიან ახლოდან ცუდად დაარტყა და ბურთი მეკარეს ჩააბარა. ფაქტობრივად, ეს იყო და ეს. გარდა ამისა, ორჯერ ზიდანმა მოსინჯა შორიდან დარტყმა, მაგრამ ისე ვერ გამოუვიდა, ჯეიმსისთანა კარგ მეკარეს რომ ვერ აეღო. ანუ, ერთხელაც გავიმეოროთ, რომ მომენტი რასაც ჰქვია, ცოტა იყო, რამაც მატჩის სანახაობრივ მხარეს კვალდი დაატყო.

ისე, ეს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი. სწორედ იმიტომ, რომ ერთმანეთის პირისპირ ზეგამოცდილ გუნდები იდგნენ, ძნელად რომ ვინმე შემცდარიყო და მეტოქისთვის შანსი იოლად მიეცა. და თუ რამე იყო მოსაწონი, სწორედ მცველთა და საყრდენთა შეუცდომელი თამაში, რისი გამოისობითაც აქეთ ანრი და ტრეზეგე, იქით კი ოუენი ჩრდილში დარჩნენ.

მაინცდამაინც შესამჩნევნი არც ბექემი და ზიდანი ყოფილან — ვიმეორებთ, რომ ეგრეთ წოდებულ სახიფათო ეპიზოდებს ვგულისხმობთ — თუმცა საბოლოოდ მატჩის ბედი სწორედ მათ განსაზღვრეს.

ბექემმა გვარიანად შორი საჯარიმოთი ბურთი ზუსტად დაასვა თავზე ფრანგებთან მოჯაჯგურე ფრენკ ლამპარდს და ამანაც ბარტეზს აუღებელი დაურტყა. მაგრამ, როცა იმავ ბექემს თამაშის დამთავრება ერთი დარტყმით შეეძლო, ვერ ივარგა. ზემოთ ნახსენები რუნის წაქცევის მერე ბექემმა პენალტის დარტყმა ითავა და ბარტეზმა აუღო.

ზინედინ ზიდანმა კი პირველ წამატებულ წუთზე უნაკლოდ დაარტყა საჯარიმო, ჯეიმსი არც განძრეულა და რომც გადამხტარიყო, ვერაფერს გააწყობდა. მესამე წამატებულზე კი, ბექემისგან განსხვავებით, ზიდანმა ასევე უნაკლო თერთმეტმეტრიანი შეასრულა.

ფაქტობრივად, ინგლისელებმა ერთი შეცდომა დაუშვეს მთელი მატჩის მანძილზე და იმან დაღუპა. სტივენ ჯერარდმა უმტკივნეულო სიტუაციაში ბურთის მეკარისთვის დაბრუნება მოინდომა, არადა, მასსა და ჯეიმსს შორის ტიერი ანრი იდგა და პასიც ძალიან ცუდი გამოუვიდა. მერე კი, როგორც ხდება-ხოლმე: ანრიმ საჩუქარი მიიღო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და თავი წააქცევინა.

მატჩის მერე ყველა ელოდა, თუ რას იტყოდა დევიდ ბექემი. მან თქვა: „ის პენალტი რომ გამეტანა, თამაშს უეჭველად მოვიგებდით. უკეთესად ვერც დავარტყამდი, მაგრამ ბარტეზმა ბრწყინვალედ ითამაშა. ახლა წაგება მე დამბრალდება და პასუხისმგებლობას არც გავურბივარ.“

ამ კომენტარზე ერთადერთი შენიშვნა შეიძლება გვქონდეს — როცა ფეხბურთელი პენალტს ისე არტყამს, რომ უკეთესად არ შეიძლება, გოლი ყოველთვის გადის.

სვენ გორან ერიკსონს კი მთლიანად უნდა დავეთანხმოთ: „ტაქტიკური შეცდომა არ დაგვიშვია, მეტოქისთვის ყველა გზა გადაკეტილი გვქონდა. გაოგნებული ვარ, როგორ წავაგეთ.“

REUTERS ლისაბონიდან

დევიდ ბექემმა პენალტიც გააფუჭა და ინგლისიც

საფრანგეთი	1	1	0	0	2:1	3
ხორვატია	1	0	1	0	0:0	1
შვეიცარია	1	0	1	0	0:0	1
ინგლისი	1	0	0	1	1:2	0

II ტური: 17 ივნისი
ინგლისი — შვეიცარია
ხორვატია — საფრანგეთი

იაკობ კუნი

მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რომლებმაც მთელი მატჩის განმავლობაში და განსაკუთრებით მეორე ტაიმში, უმცირესობაში შესანიშნავად ითამაშეს. რთული იყო ხორვატთა შეტევების გამკვლავება, მაგრამ ფრეს მივაღწიეთ. მომდევნო მატჩი ინგლისელებთან გველის. მათთან შეხვედრებში ურიგო შედეგები არ გვაქვს, მაგრამ ამჯერად ისინი მეტად ძლიერები არიან .

შვეიცარია	13 ივნისი B ჯგუფი. I ტური ლეირია. მაგალიაეშ ჰესოა	ხორვატია
0		0

შვეიცარია

1 შტილი

5 მ. იაკინი, 20 მიულერი

2 ჰაასი, 17 შაიხერი

6 ფოგელი

18 ჰუგელი, 8 ვიკი

10 ჰ. იაკინი

9 ფრეი, 11 შაპუიზა

მწვრთნელი: იაკობ კუნი

შეცვლა

შაპუიზა — 16 სელესტინი (55), ვიკი — 4 ანშო (83), ჰ. იაკინი — 15 გიგაქსი (87)

ხორვატია

12 ბუტინა

21 რ. კოვაჩი, 3 შიმუნიჩი

13 შიმიჩი, 6 ჟივკოვიჩი

10 ნ. კოვაჩი, 22 ბიელიცა

19 მორნარი, 18 ოლიჩი

11 შოკოტა, 9 პრსო

მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

შეცვლა

ოლიჩი — 7 რაპაიჩი (46), შიმიჩი — 8 სრნა (61), ბიელიცა— 20 როსო (74)

გაფრთხილება: ფოგელი (4), პრსო (13), ბიელიცა (30), ჰუგელი (41), რაპაიჩი (48), ფოგელი (50), ჟივკოვიჩი (51), მორნარი (53), შტილი (73)

გაძევება: ფოგელი (50)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია). 24 090 მაყურებელი

ჯარიმა: 21-19; კუთხური: 4-9; კარისკენ დარტყმა: 3-9; კარში დარტყმა: 6-9; თამაშგარე: 3-4

ოტო ბარიჩი

ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს, მაგრამ გოლები ვერ ვიხილეთ. მოგება კი გვსურდა, თუმც ფრითაც კმაყოფილი ვარ. ბოლო პასისას ჩემი მოთამაშეები აშკარად სცოდავდნენ

უნიჭო მსახიობების სპექტაკლი

ვაჟა ხუციშვილი

ხორვატიამ კაცნაკლული შვეიცარიის დამარცხება ვერ შეძლო. მეორე ტაიმის დასაწყისში იოჰან ფოგელი არასპორტული საქციელისთვის გააძევეს. მსაჯ ლუსილიო ბატისტას ეგებ წითელი ბარათი არც ამოეღო, მაგრამ ფოგელმა ჯერ მეტოქე შეაჩერა ხელით, შემდეგ კი მსაჯისგან დანიშნული ჯარიმა გააპროტესტა და გაბრაზებულმა ბურთს ფეხი ამოსცხო. ბატისტამაც არ დააყოვნა და მოჯანყე შვეიცარიელი მოედნიდან მიაბრძანა.

ასეთი დონის მატჩში კაცმეტობა დიდი უპირატესობაა, რისი გამოყენებაც ოტო ბარიჩს, ცხადია, ეწადა კიდეც, მაგრამ მის გუნდს შტურმისთვის ჯანი არ ეყო.

ხორვატთა თავკაცმა დარიო შიმიჩი დარიო სრნათი შეცვალა, ბიელიცას ნაცვლად მოედანზე ჯოვანი როსოც შეუშვა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ეს კი არა, ათკაცა შვეიცარიას მეორე ტაიმში უფრო მეტი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა, ვიდრე ხორვატიას.

იაკობ კუნმა ფოგელის გაძევებისთანავე ფორვარდი სტეფან შაპუიზა გაიყვანა და „მარსელის“ მცველი ფაბიო სელესტინი შეუშვა. შვეიცარიელთა დაცვა უფრო გამძლე გახდა და კონტრშეტევის შანსიც გაუჩნდა.

ალექსანდრ ფრეის რობერტ კოვაჩის შეცდომით შეეძლო ესარგებლა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა, ისევე, როგორც ჰაკან იაკინმა მატჩის მიწურულს. ბენჟამინ ჰუგელის შორიდან გასროლილზე კი ხორვატთა მეკარე ტომისლავ ბუტინამ იყოჩაღა.

ყვითელი ბარათებით და სიმულაციებით დახუნძლულ მატჩში ყველაზე სახალისო ამბავი მეორე ტაიმში მოხდა. იორგ შტილს მისი კარისკენ გაგზავნილი ბურთი თავზე გადაახტა და კარისკენ გაუტია. მეკარე გაქცეულ ბურთს კარის ხაზიდან ორიოდ მეტრში დაეწია და გაჭირვებით მოიხელთა, მაგრამ სანამ დაეწეოდა, შვეიცარიელი ქომაგები გვარიანად ანერვიულა.

ამის გამო ალბათ, აიჭრა კიდეც შტილი, რომელიც მოგვინებით ივიცა მორნართან შეხლისთვის გააფრთხილეს.

თავის მხრივ, ყვითელი ბარათი მეორე ტაიმის დასაწყისში მორნარსაც ერგო — მას მსაჯმა სამსახიობო ოსტატობა დაუწუნა. ხორვატ ფეხბურთელს პენალტი სურდა და საჯარიმოში მეტოქესთან შეუხებლად წაიქცა. მსგავსი პირველ ნახევარშიც იყო — დადო პრსო სიმულაციისთვის მორნარივით დასაჯეს.

შესვენებამდე გუნდებმა თითო რეალური მომენტი გაცვალეს. მცველთა შეცდომის შედეგად ბურთი ტომისლავ შოკოტასთან აღმოჩნდა, თუმც ხორვატმა საჩუქარი ვერ შეირგო. ხოლო ალექსანდრ ფრეის დარტყმული ბუტინამ გამოაძრო, ზემოთ ნახსენები იორგ შტილი კი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ასცდა და ცარიელი კარის წინ დარჩენილმა ნიკო კოვაჩმა ნაბოძები შანსი გააცუდა — თავით დარტყმული ჩარჩოს ააცილა.

ხორვატებმა პირველი ტაიმის მიწურულს ასპროცენტიანი მომენტი გაანიავეს. ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შვეიცარიელ მცველთაგან ერთ-ერთი საჯარიმოში ჩარჩა და რამდენიმე ხორვატი შტილთან პირისპირ აღმოჩნდა — სიმუნიჩის თავდაკრული მეკარემ ხარიხის ქვემოდან გაჭირვებით გამოაძრო, ხოლო დამატებაზე ოლიჩმა ორიოდ მეტრიდან სასწაულებრივ ვერ გაიტანა — ბურთი ხარიხას შეახეთქა.

არ იყო შტილი შტილის ჯართან

REUTERS ლეირიადან

ლუიშ ფელიპე სკოლარი

ახლა ორი დარჩენილი თამაშის მოგება გვჭირდება. ოთხშაბათს რუსებთან ან ავშენდებით ან დავიქცევით.

** პორტუგალია 1 — 2 საბერძნეთი**

12 ივნისი
A ჯგუფი. I ტური
პორტუ. დრაგაუ

0:1 ჯარაგუნისი (7), 0:2 ბასინასი (51ჯ), 1:2 რონალდო (90)

1 რიკარდუ

4 ჟორჟე ანდრადე 5 ფ. კოუტუ

2 პ. ფერეირა 3 რუი ჟორჟე

6 კოშტინია 18 მანიშე

7 ფიგუ 10 რუი კოშტა 11 სიმაო

9 პაულეტა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

შეცვლა
რუი კოშტა — 20 დეკო (46), სიმაო — 17 კ. რონალდო (46), კოშტინია — 21 ნუნუ გომეში (66)

1 ნიკოპოლიდისი

5 დელასი 19 კაპსისი

2 სეიტარიდისი 14 ფისასი

6 ბასინასი

8 იანაკოპულოსი 20 კარაგუნისი

7 ზაგორაკისი

9 ხარისტიასი 15 ვრიზასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

შეცვლა
კარაგუნისი — 21 კაცურანისი (46), იანაკოპულოსი — 11 ნიკოლაიდისი (68), ხარისტიასი — 23 ლაკისი (74)

გაფრთხილება: კოშტინია (21), კარაგუნისი (39), პაულეტა (57), სეიტარიდისი (76)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). 48 761 მაყურებელი

ჯარიმა: 19-26; კუთხური: 10-3; კარისკენ დარტყმა: 10-3; კარში დარტყმა: 9-4; თამაშგარე: 1-3



ოტო რეჰაგელი

ჩვენმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ გაამართლა. ახლა ამოვისუნთქებთ და ესპანეთთან შეხვედრისთვის მოვემზადებით.

ბრძენი ოტოს ბერძნული სასწაული

კაპუნა კედია

საბერძნეთმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბერძნებს ამიერიდან ველარავინ შეაჩერებს და ევროპის 2004 წლის ჩემპიონის ვინაობა ცნობილია, მაგრამ რაც მოხდა, ძალიან საინტერესო იყო, მით უფრო, რომ თემას ქართულ გაზეთში ვეხმიანებით, ხოლო საბერძნეთი საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეა.

სენსაცია იყო? კი, რა თქმა უნდა, თუმცა, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც საბერძნეთის, უფრო სწორად კი, მისი გერმანელი მწვრთნელის, ოტო რეჰაგელის გამარჯვებას ელოდნენ. სამწუხაროდ, მათ შორის არ გახლდათ ამ სიტყვების ავტორი, თორემ ან ვინმესთან ნაძლევს მოიგებდა ანაც წაიტრაბახებდა. ერთი სიტყვით, ის, რაც „ესტადიო დუ დრაგაუზე“ მოხდა, სენსაცია იყო, ოღონდ ცოტათი მოსალოდნელი.

რატომ იყო მოსალოდნელი? უპირველესად იმიტომ, რომ რეჰაგელმა საბერძნეთში დიდი მუშაობა გასწია, რისი დასტურიც ამ ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გახლდათ და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ გუნდის რეალური ძალა საკმაოდ აღემატება სახელს — ვფიქრობთ, სწორედ ამან მოგვატყუა ყველანი.

გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო იმიტომ, რომ პორტუგალიის ნაკრების სახელი, ალბათ, მაინც აღემატება მის ძალას, თუმცა ეს ძალიან საეჭვო და საკამათო მოსაზრება რომ არის, თავად გვესმის. გარდა ამისა, ჩემპიონატი პორტუგალიაშია... საბოლოოდ კი ასე ვთქვათ, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა ევრო 2004-მა სიხალისე პირველივე მატჩიდან შემოიტანა ჩვენს გულშემატკივრულ ცხოვრებაში.

რეჰაგელი: „ჩვენმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ გაამართლა. ახლა ამოვისუნთქებთ და ესპანეთთან შეხვედრისთვის მოვემზადებით. საბერძნეთი ყოველთვის ცნობილი იყო ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელებით, დღეს კი ისინი კარგად არიან შეთამაშებულნი. ყველა ერთსულოვნად მუშაობს და საერთო მიზნისთვის იბრძვის“.

ბერძნებმა პირველივე წამიდან ერთ მუშტად შეკრული, გააზრებული დაცვა და ლოგიკური, სწრაფი კონტრშეტევა შესთავაზეს მასპინძლებს, თუმცა, რომ ვთქვათ, რომელიმე მათგანმა რეჰაგელის ხსენებული ინდივიდუალიზმით გაოცებისგან პირი დაგვაღებინაო, გულწრფელები არ ვიქნებით. პორტუგალიელები კი ინდივიდუალურად — ყოველ შემთხვევაში შეტევისას — მეტოქეზე უკეთესნი რომ იყვნენ, მთელი თამაშის განმავლობაში ნათლად სჩანდა, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულობა და მრავალმხრივობა უკაცრავად და, არ ეტყობოდათ.

პლუს, შეცდომები დაცვაში, რამაც სულ თავიდან იჩინა თავი, მე-7 წუთზე კარაგუნისმა ანგარიში რომ გახსნა, ბერძნებმა ერთი-ორი ეპიზოდიდან უკვე იცოდნენ, რომ მასპინძელთა დაცვა მთლად მტკიცე არ არის.

პორტუგალიელთა ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი: „რამდენიმე ინდივიდუალურმა შეცდომამ ბერძნებს თავიდანვე მისცა დაწინაურების საშუალება. შემდეგ მათ დაცვაში კარგად ითამაშებს, ხოლო მეორე ტაიმში მეორე შეცდომა დავუშვით და მეორე გოლი გავუშვით. საერთოდ, ორივე გუნდი ნერვიულობდა. შესვენების შემდეგ მეტოქე თავის საჯარიმოსთან მივპრესეთ და კარში ხშირად ვურტყით, მაგრამ გოლები ვერ გავიტანეთ. ახლა, ორი დარჩენილი თამაშის მოგება გვჭირდება. ოთხშაბათს, რუსეთთან ან ავშენდებით ან დავიქცევით. ქომაგთა აქტიურობის იმედი მაქვს“.

მეორე გოლი ბერძნებმა პენალტით გაიტანეს: ელინებმა კოშტინიას მოკლე პასი ჩაჭრეს და ანგელოს ხარისტიასმა იურკას სეიტარიდისს მიაწოდა, რომლის წინააღმდეგაც, საკუთარ საჯარიმოში რატომღაც კრისტიანო რონალდო აღმოჩნდა. პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარემარბმა ცბიერ ბერძენს წამით რაღაცნაირად წამოსდო ფეხი და მასაც მეტი რა უნდოდა — თერთმეტი მეტრიდან ანგელოს ბასინასმა გაიტანა.

სტელიოს იანაკოპულოსი: „უკეთესს ვერც ვინატრებდით. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პირველსავე თამაშში, თან ჩემპიონატის მასპინძლებთან, სამ ქულას მოვიპოვებდით“.

REUTERS პორტუგალიიდან

ბერძნული სენსაცია გეორგიოს კარაგუნისის გოლით დაიწყო

პირველი გოლის ავტორი, მილანის „ინტერის“ ფეხბურთელი, კარაგუნისი: „ჩვენ ჩემპიონატზე გამოცდილების და ზეწოლის განცდის გარეშე ჩამოვედით, პორტუგალიელებს კი აშკარად ეტყობოდათ ნერვიულობა. ყველაფერი გავიღეთ, რამაც შედეგი გამოიღო. ჩვენ მოვიპოვეთ ბერძენთა პირველი გამარჯვება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. დღეს დიდი დღეა, თუმცა მეოთხედფინალი გარანტირებული ჯერ არ გვაქვს. ოთხშაბათს ესპანელებს ძალიან მნიშვნელოვან ქულებს შევეცილებით“.

მასპინძლებმა თავიანთი გოლი მსაჯის, პიერლუიჯი კოლინას წამტებული დროის მესამე წუთზეღა გაიტანეს. ამან მათ ქულა ვერ მოუტანა, თუმცა ჯგუფური ეტაპის ბოლოს არითმეტიკაში შესაძლოა, ძალიან წაეშველოს. გოლი ასე გავიდა: ლუიშ ფიგუმ, რომელმაც ამ შეხვედრაში გული და ოსტატობა ჩააქსოვა, კუთხური ჩააწოდა, კრისტიანო რონალდო კი ახტა და თავური დაარტყა.



ლუიშ ფიგუ

ევროპის ჩემპიონატზე ასეთ შეცდომებს არ უნდა ვუშვებდეთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, შედეგი სამართლიანი არ იყო. მეორე გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი. ამის შემდეგ ბერძნები უკან ჩადგნენ და თავი ჩინებულად დაიცვეს. ახლა მთავარია, შოკი დავძლიოთ.

ესპანეთი	12 ივნისი	რუსეთი
1	A ჯგუფი. I ტური ფარუ. ალგარვე	0

1:0 ვალერონი (60)

23 კასილიასი

3 მარჩენა 6 ი. ელგერა
5 პუიოლი 15 რაულ ბრავო

4 ალბელდა 8 ბარახა

17 ეჩეგერია 7 რაული 15 ვისენტე

10 მორიენტესი

მწვრთნელი: ინაჯი საესი

შეცვლა
მორიენტესი — 21 ვალერონი (59), ბარახა — 16 ხაბი
ალონსო (59), რაული — 9 ფ. ტორესი (78)

1 ოვჩინიკოვი

4 სმერტინი 13 შარონოვი
16 ევსეევი 17 სენიკოვი

22 ალდონინი

8 გუსევი 15 ალენიჩევი 10 მოსტოვოი 7 იზმაილოვი

9 გულიკინი

მწვრთნელი: გეორგი იარცევი

შეცვლა
გუსევი — 2 რადიმოვი (46), ალდონინი —
3 სიჩოვი (68), იზმაილოვი — 5 კარიაკა (74)

გაფრთხილება: გუსევი (12), შარონოვი (18), სმერტინი (29), ალდონინი (32), ბარახა (43), მარჩენა (66), ალბელდა (84), შარონოვი (88), რადიმოვი (90)
გაძევება: შარონოვი (88)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია). 30 000 მაყურებელი

ჯარიმა: 12-20; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 12-5; თამაშგარე: 4-0

ინაჯი საესი

ბურთის კონტროლიც შეუძლია და შეტევის გამწვავებაც, როგორც ნახეთ, ასეც გამოვიდა — მან შესვლისთანავე გაიტანა და მოედნის ცენტრსაც დაეპატრონა

გეორგი იარცევი

უკმაყოფილო ვარ შედეგით და ჩემი გუნდის თამაშითაც, დაცვა უსუსურად გამოიყურებოდა, სუსტად ითამაშა ნახევარდაცვამაც

ნალი ვაიდღე

როგორი ბებია უნდათ რუსებს?

სოსო კოტორეიშვილი

REUTERS ფარუდან

შაბათს, 12 ივნისს, რუსეთში დათრობის ორი მიზეზი ჰქონდათ — სადღესასწაულო და დარდის გასაქარვებელი. 12 ივნისი რუსთა დამოუკიდებლობის დღეა და ჩრდილოელთა ზნე რომ ვიცით, შაბათი ალბათ არყისფრად გაუთენდათ, მაგრამ ჩვენებური საფერავივით რომ ჩაუკუკუნახდათ, ჯერ გეორგი იარცევის გუნდს უნდა დააბრალონ, მერე ხუან კარლოს ვალერონის მარჯვედ მოქნეულ ცაციას. არაყი და საფერავი კარგი რამ კი არის, მაგრამ ამ წერილში მათ ავკარგიანობაზე ლაპარაკს სულაც არ ვაპირებთ. ავ-კარგიანობა მათი ვთქვათ, შაბათს პორტუგალიური ფარუს „ალგარვეს“ სტადიონზე ევროჩემპიონატის A ჯგუფის პირველ ტურში რომ შეხვდნენ ერთმანეთს.

კარგი საცქერი იყო ესპანეთ — რუსეთის პირველი თხუთმეტი წუთი, გამორჩეულად კი საესის გუნდის მოიერიშე ფლანგელი ნახევარმცველები, ვისენტე და ეჩებერია, რომელთა სისწრაფისა და ჭკვიანური კომბინაციების წყალობით პირენეელებმა საკუთარ კარს მიაჯაჭვეს „ორთავა არწივი“. სამაგიეროდ, ვერაფერიშვილი სანახავი გახლდათ, როგორ უსწორდებოდნენ გაავებული რუსი მცველები ვალენსიელ ვისენტეს. შვეიცარიელ არბიტრს, ურს მაიერს მათ დასაოკებლად ყვითელი ბარათები არ დაუშურებია — გუსევი, შარონოვი და სმერტინი თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში სწორედ ვისენტესთან უხეშობისთვის გააფრთხილა. მოკლედ, ესპანელები რუსებს მაგრად მიაწვნენ, როგორც იტყვიან, გოლიც მალე უნდა გამომცხვარიყო, მაგრამ ვისენტესა და ეჩებერიას მხარი ვერ აუბეს რაულმა და მორიენტესმა, ეს უკანასკნელი საესმა მთავარ ფორვარდად გაამწესა, რაულს კი მისი პასებით მომარაგება დაავალა, თუმც ვერც რაულმა ივარგა გამთამაშებლად და ვერც მორიენტესი დაემუქრა საგოლედ ოვჩინიკოვის კარს. ამიტომაც იყო, მწვრთნელმა ერთიც და მეორეც მეორე ტაიმში რომ შეცვალა და, როგორც გამოჩნდა, საესმა შეცვლები გამოიცნო — მორიენტესის მაგივრად შესულმა ვალერონმა ხომ ბურთთან პირველივე შეხებით სამქულიანი გოლი შეაგდო, რაულის ნაცვლად მოთამაშე ფერნანდო ტორესმა კი ბოლო ათწუთეულში იმდენი მოახერხა, მაიერს შარონოვი გააძევებინა და ისედაც გატეხილ რუსებს ქულის გადარჩენის იმედი მოუკლა.

მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე, საესმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „მორიენტესის თამაშით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ, მას ვალერონით ხშირად ვცვლიდი-ხოლმე და ახლაც ამ ხერხს მივმართე. საქმე ისაა, რომ ვალერონს ბურთის კონტროლიც შეუძლია და შეტევის გამწვავებაც, როგორც ნახეთ, ასეც გამოვიდა — მან შესვლისთანავე გაიტანა და მოედნის ცენტრსაც დაეპატრონა. რაულმაც კარგად ითამაშა, განსაკუთრებით პირველი ოცდაათი წუთი, თუმც მე ფერნანდო ტორესს შანსი მივეცი, ამ ბიჭს რომ დიდი მომავალი აქვს, დღესაც გამოჩნდა“.

მაგრამ იქამდე იყო პირველი ტაიმის ბოლო ოცი წუთი და რუსთაგან გამორჩეული დმიტრი ალენიჩევი. ჩემპიონთა ლიგის მომგებმა პორტუელმა რუსმა ერთი ისეთი მომენტი შექმნა, საგოლე რომ ეთქმის, მაგრამ ესპანელები იკერ კასილიასმა იხსნა — გამოსვლაზე ზუსტად ითამაშა და ალენიჩევს კარში დამიზნება არ აცალა. ორიოდ წუთში ისევ ალენიჩევმა, ამჯერად შორიდან, გამოზომილად დაარტყა, თუმც ისევ კასილიასმა იყოჩაღა.

ალენიჩევს რომ გაეტანაო... დაიწუწუნა ნამატჩევს რუსთა კაპიტანმა ალექსეი სმერტინმა; მე რომ ვალერონის დარტყმული ამეღოო... დაიჩივლა სერგეი ოვჩინიკოვმა; მწვრთნელებს ვარჯიშებზე რომ არ დავექანცეთო... წაიინტრიგანა ალექსანდრ მოსტოვოიმ; ფსიქოლოგიურად არ ვიყავით მზადო... თქვა ოცი წუთის გმირმა ალენიჩევმა;

ესაო, ისაო და, მოდი და ერთი ქართული გამოთქმა არ გაგახსენდეს, ბებიას რომ რაღაც-რაღაცეები ჰქონდესო...

საზოგადოდ, რუსებს მარცხისა და სხვაც ბევრი რამის ყველაზე და ყველაფერზე გადაბრალება სჩვევიათ და ტრადიციას არც ამჯერად ულალატეს. ოდნავ თავშეკავებული გახლდათ გეორგი იარცევი, ყვირილისგან ჩახლეჩილი ხმით ჟურნალისტებს რომ უთხრა: „უკმაყოფილო ვარ შედეგითაც და ჩემი გუნდის თამაშითაც, ეს მატჩი ყველამ წავაგეთ. ჩვენი დაცვა უსუსურად გამოიყურებოდა, სუსტად ითამაშა ნახევარდაცვამაც“.

აქ კი უნდა დავეთანხმოთ იარცევს და უსუსურ დაცვასთან და სუსტ ნახევარდაცვასთან ერთად ვახსენოთ ახმახი ფორვარდი ბულიკინიც, რომელიც კარგ მეთავურად ითვლება, მაგრამ შაბათს ვერც თავი გამოიჩინა და ვერც ფეხი. ხოლო ასეთი თამაშით ვიაჩესლავ კოლოსკოვის დანაქადნს, „ორთავა არწივს“ ნახევარფინალში გასვლაც შეუძლიაო, ასრულება არ უწერია. ნახევარფინალი კი არა, იარცევის გუნდი, ვინძლო, აუტსაიდერობისთვის იყოს განწირული — ოთხშაბათს გაავებული პორტუგალია ელის, ხოლო ოტო რეჰაგელის საბერძნეთი რაც არის, მთელმა ევროპამ ნახა.

ისიც ვთქვათ, რომ მთელმა ევროპამ ფეხბურთის უხეიროდ მოთამაშე რუს კაცებთან ერთად, პორტუგალიაში მათ საქომაგოდ მრავლად ჩასული და ფარუს „ალგარვეზე“ მოტკვარცალე რუსის ქალებიც ნახა. ვეჭვობთ, მთელი ევროპა ცალი თვალით სწორედ ამ მადლიანებისკენ იხედებოდა.

REUTERS ფარუდან

ვალერონის ერთი მოქნევა და რუსებს დღე ჩაუმწარდათ

საბერძნეთი	1	1	0	0	2:1	3
ესპანეთი	1	1	0	0	1:0	3
პორტუგალია	1	0	0	1	1:2	0
რუსეთი	1	0	0	1	0:1	0

II ტური: 16 ივნისი
საბერძნეთი — ესპანეთი
რუსეთი — პორტუგალია

გიო ახვლედიანი
პორტუგალიიდან

ორი გიჟის სალამო





ეს





ერაყვნული ბიზლიოთეკა

უცნაური კია, მაგრამ თითქოს ცარიელ ქუჩაში მოვდიოდი. მარტო კი არ ვიყავი, უამრავი ხალხი მოაბიჯებდა ჩემ წინ და უკან. ყველაფერი მწვანე, წითელი და ყვითელი იყო. საღამოს 7 საათი და მწველი მზე, ოდნავი ნიავით.

ვიცოდი, საითაც უნდა მევლო, სულ სამხრეთით და მარცხნივ. სულ სამჯერ უნდა შემეხვია მარცხნივ და ადგილზე ვიქნებოდი, კამპანიას სადგურზე. იქ მალე ჩავედი და იქაც სამარისებური სიჩუმე იყო. ქალმა უხალისოდ მომყიდა ბილეთი. ბაქანზე გადავედი და 10 წუთში მატარებელში ვიჯექი. ძალიან უცნაური იყო ასეთი სიჩუმე. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ხმაური იქნებოდა. მატარებელში ჩავჯექი და ლისაბონისკენ გავწიე, პორტუს ნახსენები კამპანიას სადგურიდან. ეს ამბავი იმას ჰგავდა, ჩვენში რომ მოჰყვებიან ხოლმე, ამხელა ხარჯი ქნესო, რა ქორნილი გააკეთესო, რა სუფრა გაშალეს და რა ხალხი დაპატიჟესო და ზედ შუა ქორწილიდან პატარძალი გაეპარათო. ზუსტად ასე იყო.

განა ყოველთვის ისე ჩაივლის დღესასწაული, როგორც დაგეგმავ?! განა ის სიჩუმე, გუშინ რომ იდგა პორტუს ქუჩებში და მხოლოდ მწვანე მანქანების გაშხუილებით ირღვეოდა, ვინმესთვის მოსალოდნელი იყო?! აბა, რა გითხრათ. ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. დაიწყო ძალიან ლამაზად და მხნედ, პორტუგალიის ჩრდილოეთის საოცარ ადგილას, ქალაქ პორტუში, პორტვეინის საუკუნოვან საწყობთა სამშობლოში. ქალაქში, რომელიც ყოველწამიერად შენდება და ახლდება. რომლის მშვენიერ სტადიონზე თამაშობს ევროპის საკლუბო ჩემპიონი, რომლის 6 მოთამაშეც ნაკრებში ირიცხება, ხოლო ამ ექვსიდან 4 შაბათ საღამოს მოედანზე იდგა და ნერვებმოშლილი იწევდა ბერძენთა კარისკენ. იწევდა და ვერც იწევდა. აი, ასეთი შემობრუნება ჰქონდა დღესასწაულს. მასპინძელმა წააგო და გაჩუმდა. ჩემპიონატი კი ძალიან გემოვნებიანად გაიხსნა, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, პორტუგალია მხოლოდ გემოს და გემოვნების ქვეყანაა. პარასკევ ხაღამოს პირდაპირ მდინარე დურუდან ამოვარდნილ ფოიერვერკს შაბათს მოჰყვა ის, რაც აუცილებლად მოჰყვებოდა. თვით ფეხბურთის მწვანე მინდორზეც კი პორტუგალიელებმა თავიანთი იმედისა და ისტორიის მთავარი სიმბოლო — ზღვა შემოაბრძანეს, უზარმაზარ ლურჯ ტალღებს შუა კი კარაველა გამოცურდა. იქვე იყო თევზები და პორტუგალიის კიდევ ერთი სიმბოლო — გლობუსი. ეს ხელოვნური ზღვა ძალიან ლამაზად ღელავდა, მაგრამ როცა გახსნის თეატრალური ნაწილი მორჩა, გაირკვა, რომ მხოლოდ ზღვა არ ღელავს, არამედ მთელი მასპინძელთა ნაკრებიც და თან ასგზის უფრო მეტად, ვიდრე ოკეანე, პორტუს დასავლეთ გარეუბნებს რომ რეცხავს. პორტუგალიამ წააგო პირწმინდად, ზუსტად ისე, როგორც ხანდახან წააგებდა ხოლმე თბილისის „დინამო“ სახლში იმ საბჭოთა დროს, ვთქვათ, მინსკის „დინამოსთან“. თუ გახსოვთ ის თამაშები, ესეც იმას ჰგავდა.

ოღონდაც, ეს იყო ევროპის ჩემპიონატის გახსნის მატჩი და მასპინძელი 92-ე წუთამდე იყო საბრალო და ნერვიულად თავგანწირული. საერთოდ კი, რადგან ეს თამაში ალბათ ყველამ ნახა, მასზე ლაპარაკით არ მოგაწყენთ. ის კი მინდა ვთქვა, რომ სხვა კუთხით ეს იყო ორი გიჟის საღამო, ოტო რეჰაგელი თავისი ხელ-ფეხის გაუთავებელი ქნევით და ღრიალით და ლუიშ ფელიპე სკოლარი მოედნის კიდეზე დგომით, ხელ-ფეხის ნაკლები ქნევით და ასევე ღრიალით. პირველი აჯანყებულ გლეხს ჰგავს, მეორე მშიერ ქალაქელ ბიძას. რეჰაგელს თავისი მოქმედების სტილი ბერძენთა მთელი სამწვრთნელო შტაბისთვის გადაუდვია და რასაც ის გერმანულად ყვირის, ესენი ბერძნულად ყვირიან. ოღონდაც, ხელ-ფეხს უკვე ზუსტად ისე იქნევენ, როგორც მათი დიდებული მაესტრო.

სკოლარის კი არავისთვის არაფერი გადაუდვია, ვინც ჰყავდა, ყველა მოედანზე შერეკა და განწირულად მიუთითებდა თავისიანებს. ის უფრო თავისებზე ბრაზობს, თითქმის არ ჯდება და საერთოდაც, როგორლაც უცნაურობად ჩანს. მგონი, ელენიო ერერას შემდეგ პირველი სამხრეთამერიკელია, ევროპულ ნაკრებს რომ თავკაცობს და, მგონი, პორტუგალიას ძალიან გაუჭირდება ჯგუფიდან გასვლა. სკოლარისგან განსხვავებით, რეჰაგელი ზის და მოულოდნელი გიჟური წამოხტომა იცის. ის ყველას და ყველაფერს იწუნებს და ებრძვის, სკოლარი კი ებრძვის თავისიანებს, რათა დაამარცხოს სხვისიანები. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 35-ე წუთამდე რეჰაგელი არც კი წამომდგარა, სკოლარი კი ცხრაჯერ დაჯდა და ხუთიოდ წამში წამოხტა. საბრალო მეოთხე მსაჯი, წყნარი ლუქსემბურგელი კაცი ალენ ჰამერი ამათმა ხაზზე სწორებამ გატანჯა. სენსაცია კი შედგა. თუმცა ბერძენთა განვლილ გზას თუ გავიხსენებთ, ეს მოსალოდნელ სენსაციათა ზანდუკიდან ამოღებული ამბავი უფრო იყო. პორტუგალიის სელესაო მღელვარე და აჭრილი იყო, საბერძნეთი კი კარგ გერმანულ კლუბს მოგაგონებდათ. კოლინა ციისფერ პერანგში, ოჰ... და, რა თქმა უნდა, ქებათა ქება იმ 5000 ბერძენს, ვინც მთელი თამაში ფეხზე ედგა თავის ნაკრებს. ბერძნები სტადიონის მეათედს შეადგენდნენ, პორტუგალიელები კი მხოლოდ 88-ე წუთზე წამოდგნენ, რადგან რონალდომ კინაღამ გაიტანა. საკვირველია, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა „დრაგაუ“ ფეხზე წამოდგა, სამუდამოდ დაჯდა ლუიშ ფელიპე სკოლარი. 5 წუთში რეჰაგელი გიჟურად ეხვეოდა პირველ რიგებში მჯდომ ბერძენ გულშემატკივრებს.

ლისაბონში კი კიდევ უფრო ცხელა, ვიდრე პორტუში. საერთოდ, პორტუგალიაში ძნელია დასახლებული პუნქტის პოვნა, მავან შემთვრალ ინგლისელს რომ არ გადაეყარო. სენტ ჯორჯები ყველგან ფრიალებს, მავანი ბორნმუთელი ელექტრიკოსისგან ისიც შევიტყვე, რომ ამაღამ ლისაბონში ძაან მაგარი ამბები დატრიალდება. ვნახოთ ერთი, რა დატრიალდება. 3 საათში ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი „ლუზის“ მინდორზე ინგლისს ხვდება. ინგლისელები ძალიან ბევრნი არიან, გულშემატკივრები, რა თქმა უნდა. ლუდიც ძალიან ბევრია და დროშებიც უზარმაზარი. კუნძულელები მხოლოდ შორტებში არიან, აქაურ მზესაც უკვე გადაუტიტვლებია მათი სქელი კისრები და ღონიერი მხრები. რით დამთავრდება ეს ამბავი „ლუზზე“, მალე ვნახავთ. მე კიდევ გავიმეორებ, გუშინ ძალიან უცნაური, უთქმელი დარდით გაჯერებული საღამო იყო პორტუში, სადაც ოტო რეჰაგელმა თავისი საუცხოო ორგანიზაციით ძალიან მაგარი პურ-მარილი ჩაშალა.

ნუ იქნები ოკეანეზე უფრო მღელვარე!

C ჯგუფი. I ტური. დღეს

გიმარაეში. აფონსო ენრიკეში. 21.00

დანია – იტალია

სავარაუდო შემადგენლობები

სორენსენი; ჰელვეგი, ლაურსენი, ჰენრიკსენი, ნ. იენსენი; პოულსენი, დ. იენსენი; რომედალი, ტომასონი, იორგენსენი; სანდი	ბუფონი; პანუჩი, კანავარო, ნესტა, ძამბროტა; ძანეტი, პეროტა; კამორანეზი, ტოტი, დელ პიერო; ვიერი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

ფრე რა არის?

ტრაპატონიმ დანია სკანდინავიაში აღმოაჩინა

„სკუადრა აძურას“ შემტევი ტრიო: ფრანჩესკო ტოტი, კრისტიან ვიერი და ალესანდრო დელ პიერო

იცით, რა თქვა იტალიელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ? ჩვენი და დანიელების თამაში საფეხბურთო სტილთა შეჯიბრებაა და არა კულტურათა ჭიდილიო — აი, ასეთი რამეების თქმა იციან იტალიელმა მწვრთნელებმა. 64 წლის ტრაპატონი მიიჩნევს, რომ დანიის ფეხბურთი სკანდინავიური მიმართულებისაა:

„დანიელებს ჩრდილოური მენტალიტეტი აქვთ. მათი საფეხბურთო სტილი წლობით სკანდინავიელებთან ერთად ყალიბდებოდა, მაგრამ იმავდროულად დანიელებში არის რაღაც ლათინურიც. მათ სხვა ქვეყნებისგან ბევრი რამ ისწავლეს, მათი ფეხბურთელები ევროპას არიან მოდებულნი და იქ სხვადასხვა გავლენის ქვეშ ექცევიან“.

და მართლაც, დღეს, დანიელთა გუნდში იხილავთ „ინტერის“ მარჯვენა მცველს თომას ჰელვეგს, „უდინეზეს“ ნახევარმცველს მარტინ იორგენსენს, „მილანის“ თავდამსხმელ, იონ დალ ტომასონს და მარტინ ლაურსენს, რომელიც ადრე ტომასონთან ერთად იყო „მილანში“.



მორტენ ოლსენი

ჯოვანი ტრაპატონი

თავად იტალია, მოგეხსენებათ, ბოლო ჩემპიონატის ფინალისტია. საერთოდ კი, პირველი, რაც თვალში გვხვდება, ის არის, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე მეტოქე ტიტულს, რომლისთვისაც ახლა იბრძვიან, ადრე ფლობდა: იტალია 1968 წელს, ხოლო დანია 1992-ში.

კიდევ ის უნდა ითქვას, რომ როგორც ცნობილია, „სკუადრა აძურა“ დიდ ტურნირებს მძიმედ იწყებს და ხალხს, ვისაც დაუმარცხებელი ჰგონია, იმედს უცრუებს.

„იტალიელები, ბუნებრივია, ფავორიტები არიან, მაგრამ რამდენად მობილიზებულნი ჩამოვიდნენ, სანახავია. საქმე ის არის, რომ მხოლოდ კარგ ფორმაში ყოფნა გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის. ამისთვის საჭიროა თავი სწორად გეჭიროს და ცოტაც გაგიმართლოს“ — ამბობს ჰელვეგი.

ტრაპატონის შემადგენლობაში, რომელიც მწვრთნელმა რატომღაც კარგა ხნის წინ დაასახელა, ყურადღებას იპყრობს მარჯვენა ფრთაზე არგენტინული წარმოშობის მაურო კამორანეზის გამოჩენა, თავდასხმაში კი სამნი იქნებიან, წინ კრისტიან ვიერი, მარცხნივ ალესანდრო დელ პიერო, ხოლო უკან ფრანჩესკო ტოტი.

დანიელებს არ ეყოლებათ გამოცდილი თომას გრავესენი და იესპერ გრონკიაერი. გრავესენი დისკვალიფიცირებულია, ხოლო გრონკიაერს დედა გარდაეცვალა.

გრავესენის მაგივრად ითამაშებს დანიელ იენსენი, ხოლო გრონკიაერის ადგილს დენის რომედალი დაიკავებს.

მწვრთნელი, მორტენ ოლსენი თავდამსხმაში სავარაუდოდ ტომასონის — 28 გოლი 60 შეხვედრაში — და ებე სანდის წყვილს დააყენებს.

საინტერესოა, რომ 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც „სკუადრა აძურამ“ 2:0 მოუგო დანიას, დანიელთა კაპიტანი სწორედ მორტენ ოლსენი გახლდათ, სულ კი ეს გუნდები ერთმანეთს ათჯერ შეხვედრიან და ამ ათიდან იტალიელებმა შვიდი მოიგეს, ფრედ კი ერთი თამაშიც არ დასრულებულა.

პაპუნა კედია

C ჯგუფი. I ტური. დღეს

ლისაბონი. ჟოზე ალვალადე. 23.45

შვედეთი – ბულგარეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ისაკსონი; ლუკიჩი, მელბერგი, იაკობსონი, ედმანი; ვილჰელმსონი, ლინდეროტი, კალსტრიომი; ლიუნგბერგი; იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი	ზდრავკოვი; ბორიმიროვი, პაჟინი, კირილოვი, ი. პეტკოვი; პეევი, ხრისტოვი, ს. პეტროვი; მ. პეტროვი, იანკოვიჩი; ბერბატოვი

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

კირილოვმა დაცვა დაიცვა

ჰენრიკ ლარსონს და სტილიან პეტროვს „სელტიკში“ ზზარდამზარ უთამაშიათ, დღეს კი ერთმანეთს შეეტოქებიან

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ბრინჯაოსთვის მატჩში შვედებმა ბულგარელები 4:0 გაანადგურეს და მაშინ ერთი გოლი ჰენრიკ ლარსონმა გაიტანა. შვედთა მთავარმეგოლემ წელიწადნახევრის წინ ეროვნულ გუნდზე უარი თქვა, მაგრამ ამ გაზაფხულზე გული მოულბა, ნაკრებში დაბრუნდა და დღეს ბულგარელ მცველებს თავსატეხს გაუჩენს.

„თანაგუნდელებმა სიხარულით მიმიღეს — განაცხადა ლარსონმა — ვფიქრობ, საკმაო გამოცდილება დავაგროვე, მაგრამ ტრაბახი არ მჩვევია. ვცდილობ, ჩემი კლასი მოედანზე ვაჩვენო“.

„მისი დაბრუნება მხოლოდ ჩემთვის და ნაკრებისთვის კი არა, გულშემატკივრებისა და სრულიად ქვეყნისთვის იყო საჭირო“ — აღნიშნა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ხოლო ლარსონმა აიაქსელ მეწყვილეზე თქვა: „ერთმანეთს უკვე შესანიშნავად ვუგებთ და მატჩისას გამოჩნდება, თუ რაოდენ ეფექტურები ვართ“.

იბრაჰიმოვიჩმა საკუთარი ნაკრები ასე შეაფასა: „ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ კარგ შედეგს ყოველთვის გამართული გუნდური თამაშით ვაღწევთ, ამიტომ არაფერს შევცვლით“.

შვედთა მწვრთნელებმა გუშინ დაფები დაფხაჭნეს ტაქტიკის გარჩევისას და განაცხადეს, რომ მეტოქის ავანჩავანი მოთამაშეებს დაწვრილებით აუხსნეს.

ბულგარელთა მეკარე ზდრავკო ზდრავკოვი ჰენრიკ ლარსონს არ უფრთხის: „ის ვარსკვლავია და პატივს ვცემთ, მაგრამ არ გვეშინია. ამ დონის შეჯიბრზე გუნდებს შორის დიდი განსხვავება არაა. იოლად ჩამოსაწერები არც ჩვენ ვართ“.

მარტინ პეტროვმა და მარიან ხრისტოვმა პარასკევის ვარჯიში ტრავმების გამო გამოტოვეს, თუმც დღეს, სავარაუდოდ, ორივე ძირითად შემადგენლობაში იქნება.

მცველ როსენ კირილოვს კი უკვირს, რატომ მიიჩნევა სუსტად ბულგარელთა დაცვის ხაზი: „შვედებთან შესახვედრად ყველანი მზად ვართ. ამბობენ, თითქოს დაცვა არ გვივარგა, თუ ასეა, ევროპის ჩემპიონატზე როგორ მოვხვდით? ჰენრიკ ლარსონი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ფრედერიკ ლიუნგბერგი სხვებზე გაცილებით სახიფათონი არიან, მაგრამ მათი ამოკეტვაც შესაძლებელია. მე მითამაშია ლარსონის წინააღმდეგ და კარგად ვიცი, რას წარმოადენს“.

გუნდები ერთმანეთს 11-ჯერ შეხვედრიან. სკანდინავიელებმა შვიდჯერ მოიგეს, ორი მატჩი ფრედ დასრულდა და ორშიც ბულგარეთმა იმარჯვა. 1980 წლის შემდეგ სკანდინავიელებს ბულგარელებთან არ წაუგიათ და ბოლო სამ დაპირისპირებაში მათგან გოლიც კი არ გაუშვიათ.

ვაჟა ხუციშვილი

EURONEWS

უმვიდა, დაარტყა, გაიტანა
ვალერონი სპამს არ თაპილობს

ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებმა პირველი მატჩი მოიგო, გეორგი იარცევის რუსები დაამარცხა და პორტუგალიის სენსაციურად მძლეველი ბერძნების შემდეგ A ჯგუფში მეორე ადგილზეა. ესპანელებს გამარჯვება ხუან კარლოს ვალერონის გოლმა მოუტანა — გალისიელმა ნახევარმცველმა რუსებს მინდორზე შესვლიდან ზუსტად ერთ წუთში გაუტანა. ვალერონს ესპანური „ლიბრედირექტო" ესაუბრა

— მატჩის ბედი თქვენმა გოლმა გადაწყვიტა. ალბათ ძალიან ბედნიერი ხართ...

— ცხადია, უბედნიერესი კაცი ვარ, მაგრამ უფრო სასიხარულო ნაკრების გამარჯვება და სამი ქულის მოპოვებაა. ბედმა გამიღიმა — ბურთთან პირველივე შეხება რუსების კარის აღებით დავამთავრე. ვისურვებდი, მომავალ მატჩებშიც ასე გამმართლებოდეს.

— რუსთა დამარცხება გაგიჭირდათ...

— გეთანხმებით, მოგება საკმაოდ გაგვიძნელდა, მაგრამ მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ. განსაკუთრებით საწყის 30 წუთში — რუსებს სწრაფი ტემპი შევთავაზეთ და სახიფათო ეპიზოდებიც მრავლად შევქმენით. მართალია, შემდეგ მეტოქესაც შეეძლო გატანა, თუმცა ამას მარტივი ახსნაც მოეძებნება: რუსები ევრო 2004-ზე დასვენებულნი ჩამოვიდნენ, ამიტომ მათი ბრძოლისუნარიანობა გასაკვირი არ უნდა იყოს.

— თქვენი აზრით, ინაკი საესმა ყოველ მატჩში სამი შეცვლა უნდა განახორციელოს?

— ამ ეტაპზე ასე სჯობია. ევროპის პირველობა რთული ტურნირია, სადაც ნაკრების ყველა წევრის დახმარება გვჭირდება.

— იცოდით, რომ ესპანეთის ნაკრებს 1982 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე პირველი თამაში არ მოეგო?

— ეგ ტრადიცია წარსულს ჩავაბაროთ. „ალვარგეს" მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავედით და სამი ქულაც მოვიპოვეთ.

— პორტუგალია — საბერძნეთის სენსაციურ მატჩზეც ვთქვათ, რეჰაგელის შეგირდთა მიერ მასპინძლების დამარცხება თქვენთვის მოულოდნელი იყო?

— ვაღიარებ, რომ ბერძნებმა გამაკვირვეს. ძლიერი გუნდია. შესარჩევ ეტაპზე ჩვენც მოგვიგეს და ახლა ევრო 2004-ზე გასვლის ლოგიკურობას ამტკიცებენ. მიუხედავად ძველი ამბებისა, მათთან თამაშში რევანშზე ნაკლებად ვიფიქრებთ და ყურადღებას უშუალოდ სამი ქულის აღებაზე გადავიტანთ.

— ნაკრებში თქვენი ახლანდელი მდგომარეობა გაკმაყოფილებთ?

— პირადი ამბიციების დაკმაყოფილებას ყოველთვის გუნდის გამარჯვება სჯობს. რუსებთან მატჩშიც ასე მოხდა — თამაში სხვა შემადგენლობამ დაიწყო, მერე შეცვლაზე სამნი შევედით და ერთიანი მონდომებით მატჩი ჩვენი წარმატებით დავასრულეთ.

— ესე იგი, მომდევნო შეხვედრებში ძირითადში მოხვედრა-არმოხვედრა ნაკლებად გაღელვებთ?

— მწვრთნელისა და ფეხბურთელების ჩათვლით ყველანი ვცდილობთ, გუნდის ერთიანობა არ დაირღვეს. ვინ ითამაშებს ძირითადში, ეს მხოლოდ ინაკი საესის გადასაწყვეტია.

ჯანმრთელად და ფლანგებიდან
მალე ზეედორფიც მოვა

ჰოლანდიელები გერმანიასთან შეხვედრის წინ პოზიციებს იუმჯობესებენ. კერძოდ, გუნდის მწვრთნელს, დიკ ადვოკაატს ბოლო დროს მხოლოდ ორი ფეხბურთელის, კლარენს ზეედორფისა და ედვინ ვან დერ სარის ჯანმრთელობის ამბავი აღელვებდა, დღეს კი უკვე იმედი აქვს, რომ ერთიცა და მეორეც მის განკარგულებაში იქნება

კლარენს ზეედორფი, სავარაუდოდ, გერმანიასთან ითამაშებს

„მილანის" ნახევარმცველს, ზეედორფს მართალია, გუშინ არ უვარჯიშია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისევ ვერ დარბის, არამედ იმიტომ, რომ წინასწარ დაგეგმილ საბრძოლო გაკვეთილს აარიდეს.

„ერთადერთი კაცი, ვინც გვაკლდა, ზეედორფი იყო, მაგრამ ამ არყოფნას მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ — ბრძანა ადვოკაატმა — მან ორი დღის წინ მარტომ ძალიან დიდი დატვირთვით ივარჯიშა. დღეს ვაკვირდებით იმდღევანდელ დატვირთვაზე მის სხეულს რა რეაქცია ექნება. ერთი სიტყვით, ჩვენი ექიმები მალე სრულ სურათს დამიხატავენ და დასკვნებსაც ამის მიხედვით გავაკეთებთ. თავად კლარენსი იმედოვნებს, რომ გერმანელებთან თამაშს შეძლებს".

ლონდონის „ფულემის" მეკარეს, ვან დერ სარს კი მას ზეედორფზე უკეთესი მდგომარეობა აქვს და უეჭველად ძირითადში დააყენებენ.

გუშინდელ ვარჯიშზე ადვოკაატმა ფლანგების გამოყენებაზე გაამახვილა ყურადღება, ფეხბურთელებს საჯარიმოში მაღალი ბურთები ჩააწოდებინა — პლუს კუთხურებზეც ამუშავა, შემდეგ კი ოთხი ოთხზე თამაშის ვარიანტები დაამუშავებინა. აი, პენალტებს ადვოკაატმა ყურადღება არ მიაქცია.

„ჩვენ დამატებითი ვარჯიშის გარეშეც გვყავს ძალიან ძლიერი პენალტისტი, ვან ნისტელროი" — თქვა მან.

პაპუნა კედია

არგენტინელი არგენტინაში!
იტალიაში ფიორე აჯანყდა

იტალიის ნაკრებში მორიგი არეულობაა. ამჯერად „ლაციოს" ნახევარმცველმა, სტეფანო ფიორემ „იშიშვლა ხმალი" და იუვენტუსელ მაურო კამორანეზიზე გაილაშქრა

„მე თუ მკითხავთ, ყველა ფეხბურთელმა თავისი ქვეყნის ნაკრებში უნდა ითამაშოს. ჩვენ, იტალიელებს, ყველა რგოლში გვყავს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი და საიდანმე დამხმარეს მოყვანა არ გვჭირდება" — განაცხადა ფიორემ, რომელსაც, როგორც ირკვევა, დაბადება-აღზრდით არგენტინელი კამორანეზის წინააღმდეგ პირველად სულაც არ ამოუღია ხმა.

მოგეხსენებათ, კამორანეზი „სკუადრა აძურაში" იმიტომ მოხვდა, რომ დიდი ბებია-ბაბუა ჰყავდა იტალიელები და როდესაც შეატყო, რომ არგენტინის ნაკრებში არ გამოიძახებდნენ, იტალიელობა მოიწადინა.

და ფიორეს რატომ აღიზიანებს ეს ამბავი? იმიტომ, რომ კამორანეზი მისი უშუალო კონკურენტია ანუ იყო თამაშები, როდესაც იტალიელთა მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის ძირითად შემადგენლობაში იგი კი არა, არგენტინელი გამოჰყავდა და მეტიც, ერთი ასეთი თამაში დღესაა, ხოლო მეორე ოთხი დღის შემდეგ იქნება. ერთი სიტყვით, ფიორეს მხოლოდ მესამე ტურში, ბულგარეთთან უწევს მოედანზე გასვლა და ეს ამბავი ძალიან აღიზიანებს.

„მესამე ტურში თამაში, როდესაც ჯგუფიდან გასვლა უკვე გარანტირებული გვექნება, ჩემი შეურაცხყოფაა და მეტი არაფერი. მე არავის სათადარიგო არ ვარ და არც ახსნა-განმარტებას ვითხოვ, ტრაპატონის აზრის შეცვლას კი ნამდვილად ვეცდები" — თქვა 29 წლის მოთამაშემ, რომელმაც გასული სეზონი დიდებულად ჩაატარა.

„პორტუგალიაში დასასვენებლად არ ჩამოვსულვარ. თუ სკამზე დამსვამენ, გავლიზიანდები, თუმცა სანამ ნაკრების წევრი ვარ, იმედი მექნება, რომ ძირითადშიც მოვხვდები" — დასძინა რომაელმა.

პაპუნა კედია

ავი სიტყვა

ესაა ფეხბურთი?!

გილოცავთ, დედამიწის მოსახლეობის მორიგი ძარცვა დაიწყო! ტელევიზორში თქვეს, ევროპის ჩემპიონატს 9 მილიარდი კაცი ნახავსო. ბარაქალა! დათვალეთ ხალხისგან აფცქვნილი დოლარები. ჯერ მარტო თამაშების კომერციულ ტელეარხებზე ნახვა რა დაუჯდებოდა ამ 9 მილიარდს და მერე სხვა დანარჩენი — პორტუგალიაში ჩასულებზე არ არის ლაპარაკი, ეს ზღვაში წვეთია. იმ 9 მილიარდ ცხვარზე მოგახსენებთ, მეცხვარე დუქარდით რომ მიდგომია და პარსავს. ცალკეა, რა ნაგავსაც ამ ჩემპიონატის სპონსორები მოგვარეკლამებენ და გვაჭმევგვასმევენ, ცალკე კიდევ ადამიანების სრულ მორჩილებაში ყოლა. ხალხს ხომ სანახაობა არ უნდა მოაკლდეს და სანამ ის ეკრანს მიშტერებია, შეუსრულე რაც გინდა, აღარაფერს ვამბობ ტოტალიზატორებზე...

ბერძნებმა პორტუგალიას პორტუგალიაში მოუგეს არა?

მაგრამ, ნუ გაგიკვირდებათ და ეს ყველაფერი ჯანდაბას, რადგან როდესაც კაცს ფეხბურთი გიყვარს, ყველაფერზე თვალს დახუჭავ ერთი კარგი თამაშის გულისთვის. იყოს, რაც არის, ცოტა გამპარსონ, ბოლოს და ბოლოს, არ მოვკვდები, მაგრამ ჩემი გულისტკივილიც ისაა, რომ...

აბა, გულში ჩაიხედეთ და ნაღდი თქვით, ეხლანდელ სიმღერებს რომ უსმენთ — „ოლივეიზ ულიტრაიანი" კატები წვიმის წვეთებს რომ შენატრიან — ეგრევე მოგწონთ? არა მგონია. ვფიქრობ, ეჩვევით და მერე, მიჩვეულზე შეიძლება რამე საშინელება მართლა მუსიკად მოგეჩვენოთ. ეჩვევით და არ ფიქრობთ, რომ თქვენი შეჩვევის ფული წინასწარ არის გადახდილი. ჰოდა, ზუსტად ეგრეა ფეხბურთის ამბავიც. აბა, ვისაც პელე, მარადონა, დი სტეფანო, კრუიფი, გარინჩა, ბეკენბაუერი და პლატინი გინახავთ, ვინც უნგრეთის დიდი გუნდი თუ არა, ტელე სანტანას ბრაზილია და მენოტის არგენტინა მაინც იცით, გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, ეს ფეხბურთია?

ფიგუმ შაბათს ვიღაც ყარაჯუნისს ფინტი ვერ გაუკეთა და ბურთი ვერ ააცილა. ეგ არის ეუსებიო? თუმცა ჯერ სადა ხართ. თქვენ ხომ არ იცით, წინ რა გელით. წინ არის, რაც არის. წინ არის თეთრზე შავის მტკიცება და საერთო სახალხო დაჯერება, წინ არის ტოტის ვარსკვლავობის მტკიცება და ზიდანისთვის საუკეთესო ფეხბურთელობის გარანტირებული მიცემა, წინ არის უფინტობა, უპასობა და უნიჭობა.

სმერტინი კი ფეხბურთელია. აი, ეგ მომწონს მარტო! გვარის გამო ცხადია, ეგ ყველაფერს კარგად გამოხატავს.

ეჰ, [illegible] მარტო თვალებში [illegible] ლა. პორტუგალია სტადიონზე რომ მივიდა და ავტობუსიდან გადმოვიდა, ფიგუ დაინახეთ?

აი, სწორედ ამაშია საქმე. ასეთია „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი". გაგიკეთებენ, მაპატიეთ რუსული გამოთქმა და, რასკრუტკას, დაგარქმევენ ვარსკვლავს და მერე სტადიონზე ცალკე ლიმუზინით მიდიხარ.

და ნახეთ, ჩემპიონატი რითი დაიწყო? ბურთი ხეირიანად გაგორებული არ იყო, რომ გამოქანდა ეგ თქვენი ფიგუ და რომელიღაც ბერძენს კოჭებში ხია. ნუ, მერე ხომ ციდან ვარსკვლავები წყვიტა...

ასეა, ასე. გული მწყდება... იმაზე მწყდება გული, რომ ეხლა, ამას რომ ვწერ, შუადღეა და წუხანდელი თამაშები არ ვიცი, თორემ იქაურ ამბებსაც ჩავრთავდი, მაგრამ ეგ არაფერი, სად გვეჩქარება? ყველაფერი ნათელია და ამიტომ, მოდი, დავაგროვოთ ცოტა ფაქტები და ისე დავილაპარაკოთ. მანამდე კი გავახილოთ თვალები ფართოდ!

აბა, როგორ იქნებოდა, ინგლისელებს არ ეჩხუბათ. მართალია, პორტუს პოლიციის უფროსმა ამას წინათ თქვა, გერმანელ და ჰოლანდიელ ხულიგნებთან ინგლისელები ახლოსაც ვერ მივლენო, მაგრამ აყალმაყალის სეზონი მაინც ინგლისელებმა გახსნეს.

ხომ იცით, როგორც ხდება – დუქანში შევიდნენ, დალიეს, ცხვირები აიბზუეს, შარს დაუწყეს ძებნა და ცხადია, იპოვეს.



იტალია

სერია B. XLVI ტური

ასკოლი 2:2 ტრევიზო

1:0 პაოლო (18ს.კ.), 2:0 ლა ვისტა (48), 2:1 განჩი (51), 2:2 ჩენტურიონი (84)

ატალანტა 0:0 სალერნიტანა

კალიარი 3:1 ფიორენტინა

1:0, 2:0 ლანგელა (40, 69), 2:1 კარუზი (75პ), 3:1 კაპონე (77)

კატანია 2:0 აველინო

1:0 პადალინო (73), 2:0 მასკარა (90)

კომო 0:2 ვერონა

0:1, 0:2 ადაილტონი (40, 61)

ნაპოლი 0:0 ალბინოლეფე

პალერმო 3:0 ბარი

1:0 ტონი (38), 2:0 გროსო (45), 3:0 ვაზარი (89)

პესკარა 2:2 ტერნანა

0:1 ძამპანა (3), 1:1 რუსო (45), 2:1 პაპონეტი (51), 2:2 ძამპანა (62)

პიაჩენცა 4:4 ჯენოა

1:0 რიჩო (11), 2:0 ტარანა (14), 3:0 ლუჩენტი (21), 3:1, 3:2 მილიტო (27, 36პ), 3:3 როსი (51), 4:3 ამბროზეტი (54), 4:4 ბიელანოვიჩი (77)

ტორინო 1:3 მესინა

0:1 გუცმანი (17პ), 0:2 ძანიოლო (36პ), 1:2 დე აშენტისი (79), 1:3 ჯამპა (80)

ვენეცია 1:0 ტრიესტინა

1:0 პოჯი (35)

ვიჩენცა 2:2 ლივორნო

1:0 მორინი (63), 1:1, 1:2 ლუკარელი (80, 89), 2:2 ბონანი (90)

საბოლოო ცხრილი

პალერმო	46	22	17	7	75:39	83
კალიარი	46	23	14	9	80:51	83
ლივორნო	46	20	19	7	75:45	79
მესინა	46	21	16	9	71:45	79
ატალანტა	46	19	20	7	59:36	77
ფიორენტინა	46	19	16	11	53:48	73
ტერნანა	46	18	15	13	64:52	69
პიაჩენცა	46	17	17	12	50:47	68
კატანია	46	18	13	15	53:53	67
ტრიესტინა	46	15	19	12	50:50	64
ასკოლი	46	14	18	14	54:54	60
ტორინო	46	14	17	15	57:54	59
ვიჩენცა	46	12	20	14	48:51	56
ნაპოლი	46	10	26	10	35:43	56
ტრევიზო	46	12	19	15	48:51	55
ჯენოა	46	13	16	17	57:62	55
სალერნიტანა	46	14	13	19	36:53	55
ალბინოლეფე	46	13	15	18	47:59	54
ვერონა	46	13	14	19	54:65	53
ვენეცია	46	12	15	19	40:57	51
ბარი	46	13	11	22	50:63	50
პესკარა	46	11	13	22	46:69	46
აველინო	46	8	13	25	51:69	37
კომო	46	7	12	27	34:71	33

პოლონეთი

I ლიგა. XXVI ტური

ლეჩნა — ამიკა 1:0; პოლონია — გურნიკი 2:0; კატოვიცე — ლეგია 2:4; ლეხი — ვისლა 2:2; ვიძევი — გროცლინი 0:1; სვიტი — პოლკოვიცე 0:0; ოდრა — პლოცკი 1:2

საბოლოო ცხრილი

ვისლა	26	21	2	3	73:30	65
ლეგია	26	18	6	2	56:19	60
ამიცა	26	14	6	6	47:25	48
გროცლინი	26	13	7	6	57:31	46
პლოცკი	26	10	8	8	41:39	38
ლეხი	26	10	7	9	43:34	37
გურნიკი	26	8	9	9	26:33	33
ლეჩნა	26	10	3	13	22:38	33
ოდრა	26	8	4	14	27:40	28
კატოვიცე	26	6	8	12	20:42	26
პოლონია	26	6	7	13	25:40	25
პოლკოვიცე	26	6	5	15	17:37	23
სვიტი	26	5	7	14	21:42	22
ვიძევი	26	4	7	15	25:50	19

იაპონია

ჯეი ლიგა. XII ტური

ტოკიო — გამბა 2:1; ივატა — იჩიჰარა 3:2; ნაგოია — ურავა 3:0; კობე — იოკოჰამა 0:2; კაშივა — შიმიცუ 0:0; ოიტა — ნიიგატა 0:1; სერეზო — ვერდი 2:2; ჰიროშიმა — კაშიმა 0:2

ირლანდია

პრემიერლიგა. XVI ტური

უოტერფორდი — სენტ პატრიკსი 0:1; კორკ სიტი — დერი სიტი 2:1; დუბლინი — დროჰედა 1:1; ლონგფორდი — შელბურნი 0:2; შემროკი — ბოჰემიანსი 2:1

აშშ

MLS. XI ტური

ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 3:2; კოლამბუსი — კანზასი 2:2; ვაშინგტონი — კოლორადო 0:0; დალასი — ნიუ ინგლენდი 3:1; სან ხოსე — ნიუ იორკი 3:1

ამხანაგური მატჩი

ესტონეთი 2:4 მაკედონია

0:1 სედლოსკი (11), 0:2 პოპოვი (14), 0:3 პანდევი (30), 1:3 ზაჰოვაიკო (55), 2:3 ტეევერი (67), 2:4 გროჟდანოვსკი (68)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

წყალტუბოს პირი ურიონისა უჩანს

ოლონდ: სამგურალი არ დაიშლება

წყალტუბოდან მომავალმა ქარმა „მცხეთა-ურიონს“ ზურგში დაუბერა, აამოძრავა და საქმეც თითქმის გაკეთდა: უმაღლეს ლიგაში „სამგურალის“ ნაცვლად „მცხეთა“ ითამაშებს. დღეს ან ხვალ ამ ამბავს ოფიციალურად მოებმება თავი. ყოველ შემთხვევაში, ურიონელები უკვე წყალტუბოში არიან და მოლაპარაკების დაგვირგვინებამდე „სამგურალს“ გუშინ ამხანაგურადაც გაეჯიბრნენ.

სხვა დანარჩენზე კი წყალტუბოს მერი და „სამგურალის“ ვიცე-პრეზიდენტი მამუკა სალარეიშვილი გვესაუბრება...



ალბერტ ფილიპოვიჩ ფოტო

— ყველაფრით კმაყოფილი ვარ. „კამაზმა“ მისაღები პირობები შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. თან მწვრთნელმაც თბილად მიმიღო, შენი იმედი მაქვსო, მითხრა.

— არჩევანითაც კმაყოფილი ხარ?

— რა თქმა უნდა. „კამაზს“ ჩემი დასაწუნი არაფერი ჭირს.

— გასაგებია, მაგრამ რუსეთის პირველ დივიზიონში თამაშმა რა უნდა მოგცეს?

— მე პირიქით ვფიქრობ. დიდ გუნდში სკამზე ჯდომას „კამაზში“ თამაში მირჩევნია. რუსეთის პირველი დივიზიონიც არ არის ხელწამოსაკრავი. არავის ეგონოს, იქ თამაში იოლი იყოს.

— სხვა ვარიანტებიც გქონდა?

— რამდენიმე პრემიერლიგურ კლუბზე იყო ლაპარაკი, მაგრამ „კამაზი“ ვარჩიე. ხელმძღვანელობას სერიოზული მიზნები აქვს. ჩემ გარდა კიდევ ორი-სამი ფეხბურთელის შეძენას აპირებენ და მომავალი სეზონიდან პრემიერლიგაში გადასვლას გეგმავენ. მეც ჯერ პირველ დივიზიონში მოვმაგრდები და დანარჩენზე მერე ვიფიქრებ.

— „ვიტ ჯორჯიასგან“ თავისუფალი იყავი?

— მისაღებს ყველა მიიღებს. ეგ არაა პრობლემა.

— ახალ გუნდს როდის შეუერთდები?

— 23 ივნისს ნაბერეჟნიე ჩელნიში უნდა ვიყო. ახლა გამომიშვეს, დასვენება გჭირდებაო.

— თამაში როდიდან შეგეძლება?

— 1 ივლისიდან. უკვე მუშაობენ განაცხადში შეყვანაზე და მალე ვითამაშებ კიდეც.

ქახა შალამბერიძე

რევაზ გოცირიძემ კამაზი გაიფორმა

მისაღებს ყველა მიიღებს

საქართველოს მე-15 ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული და ბომბარდირი რევაზ გოცირიძე რუსეთის პირველდივიზიონელ „კამაზში“ ითამაშებს. ჩვენებურმა ნაბერეჟნიე ჩელნის კლუბთან ორნახევარწლიანი კონტრაქტი შაბათს გააფორმა და გუშინ თბილისში დაბრუნდა. რეზო აქ რამდენიმე დღით შეყოვნდება, საქმეებს მოაგვრებს და მერე „კამაზს“ შეეშველება.

ერთი სიტყვით, ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ოფიციალურად უკვე ერთმა ფეხბურთელმა დატოვა და მალე მის გზას სხვებიც რომ დაადგებიან, წყალი არ გაუვა. ახლა კი თავად გოცირიძეს მოვუსმინოთ. „კამაზის“ ქართველ ახალწვეულს გუშინვე ველაპარაკეთ...

ალბერტ ფილიპოვიჩ ფოტო

ზესტაფონის „მეტალურგის“ მომავალი პრეზიდენტი ილია კოკაია

— კლუბის პრეზიდენტს ჯერ არ შეხვედრივარ, ილია კოკაიასთან დღეს-ხვალ ვისაუბრებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გეტყვით, ჩავიბარებ თუ არა „მეტალურგს“.

— თქვენ თანახმა ხართ?

— „მეტალურგში“ მუშაობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ, სჯობს, პრეზიდენტთან შეხვედრას დაველოდოთ. როცა კონტრაქტს გავაფორმებ, მწვრთნელის სტატუსი ოფიციალურად მაშინ მექნება.

— ახლა რა სტატუსი გაქვთ?

— არანაირი. ჩათვალეთ, რომ „მეტალურგის“ მწვრთნელობის კანდიდატი ვარ.

— „მეტალურგის“ მწვრთნელობის კანდიდატს გუნდისთვის ახალი ფეხბურთელები ჯერ არ შეუგულებია?

— არა, ამ თემაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ კონტრაქტი გავაფორმო.

— გუნდზე თქვენი პირველი შთაბეჭდილება როგორია?

— ისეთი, როგორიც პირველი ლიგიდან გავარდნილ გუნდზე უნდა გქონდეს, „მეტალურგის“ დონე შესაბამისად დაბალია.

— მაგრამ, ალბათ, ამაღლდება...

— ამის იმედი მაქვს, სხვაგვარად რომ იყოს, აქ არ ჩამოვიდოდი.

გუშინვე „მეტალურგის“ მომავალ პრეზიდენტსა და სააქციო საზოგადოება „ფეროს“ ხელმძღვანელს *ილია კოკაიას* დავუკავშირდით, ვისი თქმითაც, ზემლიანოვის „მეტალურგის“ მწვრთნელად დანიშვნა ფაქტობრივად გადაწყვეტილი საქმეა.

— ზემლიანოვთან კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ ეს პრობლემა არ არის, ამ დღეებში მას შევხვდები და ყველაფერზე საბოლოოდ მოვილაპარაკებთ. 17 ივნისს კონტრაქტს ალბათ ხელსაც მოვაწერთ. ხუთშაბათს კლუბის დამფუძნებელი კრებაა და ყველა იურიდიულ საბუთს ოფიციალურად გავაფორმებთ.

— დამფუძნებელი ვინ იქნება?

— ასი პროცენტით სააქციო საზოგადოება „ფერო“.

— კლუბის სახელწოდება უცვლელი დარჩება?

— დიახ, ზესტაფონის „მეტალურგი“.

— და რომელ ლიგაში ითამაშებს ზესტაფონის „მეტალურგი“?

— ჯერ ფეხბურთის ფედერაციის სალიცენზიო მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ და მერე ფედერაცია და პროფლიგა გადაწყვეტენ „მეტალურგის“ საკითხს. ვნახოთ, ჯერ ამ მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ და...

სალიცენზიო მოთხოვნათა დაკმაყოფილება „მეტალურგმა“ რამდენიმე დღის წინ ზესტაფონის სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქციით დაიწყო, 17 ივნისს კლუბის დამფუძნებელი კრებაა, მერე კი... ალბათ, ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ქოგა ინასარიძე

ზესტაფონში ახალი გუნდის კეთება რომ დაიწყეს, ეს უკვე არახალი ამბავია.

ზესტაფონის „მეტალურგის“ პატრონმა „ფერომ“ გუნდისთვის უკვე მწვრთნელიც შეგვიყენა ალექსანდრ ზემლიანოვი, მოლდოვური „შერიფის“ ყოფილი თავკაცი. ზემლიანოვი ზესტაფონში ამას წინათაც იყო, მერე შინ გაემგზავრა და გუშინ უკან დაბრუნდა. გუშინვე გუნდის ვარჯიშს ჯერ ტრიბუნიდან უცქირა, მერე კი ფეხბურთელებსაც ესაუბრა და „სარბიელსაც“ ...

ფერო ასპროცენტიანია

მეტალურგმა საქმე დაიწყო, მწვრთნელმა ლაპარაკი

ბათუმელი ბათუმშია

რას დასთანხმდება წინდახედული ხომერიკი?

„ბათუმში“ ბოლოხანს ბევრი სიახლე რომ მოხდა, არაერთხელ გამცნეთ. ზღვისპირელები სერიოზულად ემზადებიან საახალსეზონოდ და ხმაში რიხიც შეეპარათ, საპრიზოადგილებისთვის ვიბრძოლებთო. საამსაქმოდ ბათუმელებს რამდენიმე ფეხბურთელი შეუგულებიათ და მათთან კონტრაქტების გაფორმებას ეშურებიან. ამ სიაშია ძველი ბათუმელი ლევან ხომერიკიც, რომელიც ბოლოს თბილისურ „ლოკომოტივში“ თამაშობდა, თუმცა საგაზაფხულო ეტაპზე ძირითად გუნდს გარეთ დარჩა და დღემდე ახალი კლუბის ძიებაშია.

შვეიცარიამოვლილ ხომერიკს გუშინ ბათუმში დავუკავშირდით და მოსალოდნელ ტრანსფერზე ვესაუბრეთ...



ალბერტ ფილიპოვიჩ ფოტო

— კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე შემომთავაზა „ბათუმში“ თამაში და ვნახოთ, რა როგორ იქნება. ჯერ ოფიციალურად არაფერზე შევთანხმებულვართ.

— რატომ იკავებ თავს?

— მოსაფიქრებლად ორი კვირა ვითხოვე და პასუხსაც მალე ვიტყვი. აბა, წინდაუხედავად ხომ არ დავთანხმდებოდი?!

— „ლოკომოტივში“ დაბრუნებას გამორიცხავ?

— რა ვიცი, დღემდე არავინ შემხმიანებია. თან გუნდშიც არაა ბოლომდე ყველაფერი გარკვეული. ფაქტია, ახლა ბათუმში ვარ, ვვარჯიშობ და ჩემს მომავალსაც მალე გავარკვევ.

— მაინც რამდენად რეალურია შენი „ბათუმში“ გადასვლა?

— სხვა უფრო საინტერესო ვარიანტი თუ არ გამომიჩნდა, „ბათუმში“ ვითამაშებ.

— ბოლოხანს ტრავმები გაწუხებდა, ახლა როგორ ხარ?

— საბედნიეროდ, არაფერს ვუჩივი. უკვე ჯანზე ვარ და სათამაშოდ ვემზადები.

ქახა შალამბერიძე

საღოლყარდაშული იქი:იქი რზარბაზანი

ანუ ნეფთჩი დინამოს ათი კაცითაც ეყო

ახალი სეზონისთვის მზადებადაწყებულმა თბილისის „დინამომ“ შაბათს პირველი ამხანაგური მატჩიც გამართა. „ეროვნულზე“ მასპინძელთა მეტოქე ბაქოს „ნეფთჩი“ იყო, „ნეფთჩი“, რომლის ექვსი ფეხბურთელიც დღესდღეობით ქვეყნის ნაკრების წევრად ითვლება, მათგან ერთ-ერთს, გულიევს, ამას წინათ ლატვიისთვისაც გაუტანია რიგაში სანაკრებო ამხანაგური მატჩისას. „დინამოსთან“ ითამაშა ასევე ა ზერბაიჯანული ფეხბურთის ვარსკვლავმა ყურბან ყურბანოვმა და... 38 წლის ვიდალ რზაევმა, ვისაც 16 წლის წინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას ოთარ გაბელიასთვის გაუტანია

დავით ჭიჭვეიშვილმა და დავით ბაქრაძემ „ნეფთჩისთან“ პირველად მოიერგეს „დინამოს“ მაისურა

გადრე ჯუმელაძის ფოტო

შაბათის მატჩი დინამოელთა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ექსპერიმენტებისთვის გამოიყენა და ის ფეხბურთელებიც ათამაშა, რომლებიც სადინამოდ შეუგულებია, თუმც კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ. ასეთი ორი იყო, ჭიჭვეიშვილი და ბაქრაძე. ძირითად შემადგენლობაში იყო ლაშა სალუქვაძეც, ვინც უკვე დინამოელია. მან ახალ გუნდში დებიუტი გოლით აღნიშნა, როცა კვირკველიას ჩაწოდებულ ბურთს ადგილი ზუსტად შეურჩია. სალუქვაძის გოლი მატჩში მეორე იყო, იქამდე გულიევმა იხეირა, უპატრონო ბურთს რომ დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან რომ დაჰკრა.

სალუქვაძის გოლიდან ხუთ წუთში თბილისელებმა დაწინაურებაც მოახერხეს: ისევ კვირკველიას პასი და ახალაიას მოხდენილი თავური. ბოლო, ანგარიშის გამთანაბრებელი გოლი შორიდან უძლიერესად დარტყმით რზაევმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს სტუმრები ათი კაცით თამაშობდნენ, ამხანაგური მატჩისთვის ნამეტანი უხეშობისთვის მსაჯმა გულიევი დაითხოვა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ თავკაცმა გია გეგუჩაძემ თქვა, რომ გუნდი სასურველი ფორმისგან ჯერ შორსაა და ამიტომაც ეს ამხანაგური მატჩი ფეხბურთელებისთვის აუცილებელი იყო.

ნამატჩევს სტუმრებმა „დინამო“ ბაქოში მიიწვიეს. მიპატიჟება თბილისელებმა მიიღეს, თუმც ჯერ არ უთქვამთ, ბაქოს როდის ესტუმრებიან.

„დინამო“ შემდეგ ამხანაგურს ზეგ „ილასთან“ გამართავს, 18-ში „თბილისთან“ ითამაშებს, 21-ში „ლოკომოტივთან“, მეორე დღეს კი ოცდღიან შეკრებაზე გერმანიაში გაემგზავრება.

კობა ინასარიძე

დინამო ნეფტჩისთან:

ზოიძე (მამალაძე 52), შაშიაშვილი (გიგაური 69), სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, ბაქრაძე (კაკალაძე 46), კაშია (დვალი 62), კვირკველია (კანდელაკი 65), კანკავა (ხმალაძე 55), ანჩაბაძე (გრიგალაშვილი 53), ახალაია, მელქაძე

0:1 გულიევი (23), 1:1 სალუქვაძე (55), 2:1 ახალაია (60), 2:2 რზაევი (85)

ლადო ახალაიამ ბაქოელებს ეფექტური თავურით გაუტანა

გადრე ჯუმელაძის ფოტო

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

რაც იყო, არ განმეორდება, ჩვენ მაჩანჩალები აღარ ვიქნებით და ყველას დიდ წინააღმდეგობას გავუწევთო, გვითხრა „კოლხეთის“ თავკაცმა დავით მახარაძემ, გუშინ ფოთში რომ შევეხმიანეთ

ნინო ფალავანდიშვილის ფოტო

ა, ფარა!

კოლხეთმა პორტი აიფარა

„კოლხეთმა“ 10 ივნისს დაიწყო სამზადისი, თუმც გუნდი ჯერაც არაა დაკომპლექტებული. საბოლოოდ გასარკვევია წამსვლელ-მომსვლელთა საკითხი.

ჯერ „კოლხეთიდან“ წასულებზე ვთქვათ. გუნდი დატოვა მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა. წავიდნენ ვლადიმერ გაბედავა და ჯონი კალანდაძეც. ეს ორი, წესით, ოზურგეთის „მერცხალში“ უნდა დაბრუნებულიყო, რაკიღა სწორედ ამ გუნდიდან იყვნენ იჯარით წასულნი „კოლხეთში“, თუმც კალანდაძე და გაბედავა „მერცხალში“ იმიტომ ვერ დაბრუნდებიან, რომ გუნდი ფაქტობრივად დაიშალა და ისე ჩანს, პირველ ლიგაშიც ვერ ითამაშებს.

დავით მახარაძის თქმით, ამ სამი ფეხბურთელის გარდა შესაძლოა კიდევ რამდენიმე გამოაკლდეს „კოლხეთის“ ძველ შემადგენლობას.

გუნდში ორი ახალწვეულია: მცხეთელი გია თოდუა და ბათუმელი ზურაბ ქვაჩახია. ამ ორთან კოლხებმა სიტყვერ შეთანხმებას მიაღწიეს და დღე-დღეზე ალბათ კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

— „სიონიდან“ წამოსული თენგიზ სიჭინავას მოწვევა გვსურდა. ფაქტობრივად, შეთანხმებულიც ვიყავით, მაგრამ, როგორც ჩანს, „ბათუმმა“ გვაჯობა. სიჭინავა დღეს მესაუბრა ტელეფონით და მითხრა, „ბათუმში“ ვითამაშებო. მის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელზე გვქონდა თვალი დადგმული, მათ ვინაობას ვერ გავამხელ, რადგან სიჭინავასავით ხელიდან აგვაცლიან. ერთს კი ვიტყვი, თუ ეს ხალხი დავიმატეთ, „კოლხეთს“ უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაც შეეძლება ახალ სეზონში — გვითხრა დავით მახარაძემ.

„კოლხეთი“ არ უფრთხის პროფლიგის პირობას — უმაღლესი ლიგის გუნდი ფინანსურად მყარად უნდა იდგეს ფეხზე და 300 ათასი ლარი ჰქონდეს ანგარიშზე.

— ჩვენი ბიუჯეტი ყოველ სეზონში 950 ათასი ლარია, ახლა ჩემპიონატში მატჩების რაოდენობა გაიზარდა და, ბუნებრივია, ბიუჯეტსაც გაგვიზრდიან, ასე რომ, გარანტიების მიცემა პროფლიგისთვის არ გაგვიჭირდება. ესეც რომ არა, ფოთის პორტი გვიდგას გვერდში და 300 ათასი რა არის, თუ საჭირო გახდა, სამი მილიონის გარანტიასაც მივცემთ პროფლიგას — ესეც მახარაძის სიტყვებია.

ბოლოს კი ის ვთქვათ, რომ „კოლხეთი“ 16 ან 17 ივნისს საკონტროლო მატჩს გამართავს, სავარაუდოდ, „ბათუმთან“. თვის ბოლოს კი გუნდი უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრება თურქეთში ან ბულგარეთში.

პაატა კვანტალიანი

INTERTOTO CUP

დილა—მარეკი

ოცი ოცისთვის

დილამ ინტერტოტოს განუცხადა

20 ივნისს გორის „დილა“ პირველ საერთაშორისო ოფიციალურ მატჩს გამართავს ინტერტოტოს თასზე ბულგარულ „მარეკთან“. შეძლებისდაგვარად ემზადებიან გორელები ისტორიული მატჩისთვის. ზურაბ ხორგუაშვილს გორში ჰყავს შეკრებილი გუნდი. „დილა“ 15 ივნისს „ეროვნულზე“ „დინამოს“ გაეჯიბრება ამხანაგურად. გორელებმა ერთი საკონტროლო შემოწმება უკვე გაიარეს. პარასკევს „ისანზე“ „თბილისთან“ 0:2 დამარცხდნენ, ზურაბ ხორგუაშვილი კმაყოფილი დარჩა, გვითხრა, ჩემი გუნდის თამაშში წინსვლა იგრძნობა და სამარეკოდ მზად ვიქნებითო.

„თბილისთან“ თამაშის შემდეგ ხორგუაშვილმა საბოლოოდ გაარკვია სამარეკო შემადგენლობა და გუშინ ის 20 ფეხბურთელი დაასახელა, საინტერტოტო განაცხადში რომ იქნებიან.

მეკარეები: რამაზ სოლოლაშვილი, თამაზ ილურიძე;

მცველები: გიორგი ნუგ. ბალაშვილი, ლევან გოჩაშვილი, გიორგი შუბითიძე, გივი ქარქუზაშვილი, დავით მასურაშვილი, აქსენტი გილაური, რევაზ ხაჭაპურიძე;

ნახევარმცველები: გიორგი ლომიძე, ზაზა ლაცაბიძე, ლუკა რაზმაძე, რონ ონიანი, ქრისტეფორე შატაკიშვილი, კობა ხანიშვილი, ალბერტ საყვარელიძე, გიორგი ბალაშვილი;

თავდამსხმელები: ბექა ჩიტაია, ზურაბ მუშკუდიანი, დავით სამადაშვილი.

პაატა კვანტალიანი

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	6,0	3,1	1,65	2,04	1,29	1,07
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
	14 ივნისი						
5005	დანია-იტალია	4,8	2,1	2,25	1,46	1,53	1,08
5006	შვედეთი-ბულგარეთი	2,6	2,05	3,8	1,14	1,54	1,33
	15 ივნისი						
5007	გერმანია-ჰოლანდია	3,6	2,05	2,7	1,3	1,54	1,16
5008	ჩეხეთი-ლატვია	1,65	2,6	7,0	1	1,33	1,89
	16 ივნისი						
5009	საბერძნეთი-ესპანეთი	6,0	2,1	2,0	1,55	1,5	1,02
5010	რუსეთი-პორტუგალია	6,0	2,3	1,8	1,66	1,38	1

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

	14 ივნისი		
5405	დანია-იტალია	2,5	1,55
5406	შვედეთი-ბულგარეთი	1,8	2,0
	15 ივნისი		
5407	გერმანია-ჰოლანდია	2,0	1,8
5408	ჩეხეთი-ლატვია	1,25	3,6
	16 ივნისი		
5409	საბერძნეთი-ესპანეთი	2,6	1,5
5410	რუსეთი-პორტუგალია	3,2	1,35

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	14 ივნისი									
5105	დანია-იტალია	7,0	10,0	20,0	8,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,5
5106	შვედეთი-ბულგარეთი	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	6,0	20,0	10,0	5,0
	15 ივნისი									
5107	გერმანია-ჰოლანდია	4,6	10,0	20,0	5,3	4,4	4,6	20,0	10,0	3.5
5108	ჩეხეთი-ლატვია	1,7	15,0	30,0	3,5	5,6	15,0	25,0	15,0	15,0
	16 ივნისი									
5109	საბერძნეთი-ესპანეთი	10,0	10,0	20,0	10,0	4,4	3,5	20,0	10,0	2,3
5110	რუსეთი-პორტუგალია	10,0	10,0	20,0	12,0	5,0	3,5	25,0	12,0	2,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	14 ივნისი			
5505	დანია-იტალია	3,0	2,8	2,0
5506	შვედეთი-ბულგარეთი	3,0	2,8	2,0
	15 ივნისი			
5507	გერმანია-ჰოლანდია	3,0	2,8	2,0
5508	ჩეხეთი-ლატვია	3,0	2,8	2,0
	16 ივნისი			
5509	საბერძნეთი-ესპანეთი	3,0	2,8	2,0
5510	რუსეთი-პორტუგალია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	14 ივნისი		
5305	დანია-იტალია	1,65	1,95
5306	შვედეთი-ბულგარეთი	1,7	1,9
	15 ივნისი		
5307	გერმანია-ჰოლანდია	1,65	1,95
5308	ჩეხეთი-ლატვია	1,8	1,8
	16 ივნისი		
5309	საბერძნეთი-ესპანეთი	1,65	1,95
5310	რუსეთი-პორტუგალია	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	14 ივნისი		
5205	დანია-იტალია	1,7	1,9
5206	შვედეთი-ბულგარეთი	1,7	1,9
	15 ივნისი		
5207	გერმანია-ჰოლანდია	1,75	1,95
5208	ჩეხეთი-ლატვია	1,9	1,7
	16 ივნისი		
5209	საბერძნეთი-ესპანეთი	1,65	1,95
5210	რუსეთი-პორტუგალია	1,75	1,85

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია						
		ტიპელიგა. XI ტური.						
		14 ივნისი						
22.00	135	სტაბეკი-რუსენბორგი	4,4	3,6	1,65	1,98	1,2	1,13
		ირლანდია						
		პრემიერლიგა. XIV ტური.						
		14 ივნისი						
23.45	179	დროგედა-შელბურნი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
		შვედეთი. თასი. III ეტაპი.						
		15 ივნისი						
22.00	281	გიოტებორგი-ტრელებორგი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10 42 00 24 +%

კალათბურთი

ახოვან და მხარბეჭიან ვალერი კილაძეს კუნთები ბატიბუტივით აყრია. მისი შემხედვარე, გინდა, არ გინდა, გაიფიქრებ, მეფარეს ამაზე ნაკლები ჯანი არ უნდა ჰქონდესო. კილაძის ფიზიკურმა მონაცემებმა დრაჟენ ბრაიკოვიჩსაც მოსჭრა თვალი და თსუ-ს მეფარე ჯერ „დინამოში“ გადაიბირა, ახლა კი ნაკრებშიც დაუძახა. კილაძე ჯერ მხოლოდ კანდიდატია და ძირითადში მოსახვედრად უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება, მის პოზიციაზე ხომ ნაკრებში დიდი კონკურენციაა — „დინამოს“ თავდამსხმელს ნაკრების 12-ეულში ადგილს ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა და ვახტანგ ნაცვლიშვილი შეეცილებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებზე



ვალერი კილაძე: თავდამსხმელი ვარ, მაგრამ დაცვაც მეხერხება

— ნაკრებში ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მითამაშია. ზურაბ ტომარაძემ 5 წლის წინ დანიაში საკვალიფიკაციო ტურნირზე წამიყვანა, მაგრამ...

— ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ნაკრებში ისევ რომ გამოგიძახეს, ხომ არ გაგკვირვებია?

— როგორ ვთქვა, არც გამკვირვებია და არც ველოდი, რომ დამიძახებდნენ. მწვრთნელმა განვლილი სეზონის საუკეთესო მოთამაშეები გამოიძახა და უბრალოდ, მეც მათ შორის მოვხვდი.

— დრაჟენ ბრაიკოვიჩი „დინამოშიც“ შენი მწვრთნელია. რას ფიქრობ, ნაკრების მწვრთნელი რომ სხვა ყოფილიყო, გამოგიძახებდა?

— სხვა რას იზამდა, აბა, რა ვიცი. ან გამომიძახებდა ან არა. ბრაიკოვიჩმა კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

— ცენტრობა გიჯობს თუ თავდამსხმელობა?

— თავდამსხმელობა.

— ამ პოზიციაზე ნაკრებში დიდი კონკურენციაა...

— მერე ძალიანაც კარგია. აბა, თავიდანვე რომ 12 კაცი გამოეძახა, ის აჯობებდა? კონკურენცია ძალიან დიდია და საბოლოოდ ის მოხვდება ნაკრებში, ვისაც მეტი კლასი, გამძლეობა და შეუპოვრობა აღმოაჩნდება.

— კანდიდატთა შორის არაერთი ძლიერი ლეგიონერია თავდამსხმელის პოზიციაზე. რას ფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატიდან თუ მოხვდება ვინმე 12 კაცში?

— ძალიან გაუძნელდებათ, მაგრამ ის უეჭველია, რომ ნაკრებში საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებიც მოხვდებიან. ძნელია, იმის თქმა, ამათგან რამდენი იქნება თავდამსხმელი და იქნება თუ არა საერთოდ. ის კი ნაღდია, რომ ლეგიონერები აქაურებს ბევრად გვჯობიან კლასში, მაგრამ ჩემი აზრით, სასურველია, ნაკრებში საქართველოში მოთამაშე თავდამსხმელიც მოხვდეს.

— აქაურთაგან ვის მიიჩნევ შენს მთავარ კონკურენტად?

— თუ არ ვცდები, საქართველოში მოთამაშე თავდამსხმელთაგან ჩემს გარდა, მხოლოდ ზვიად ბაბიაშვილია ნაკრებში გამოძახებული, დანარჩენები სულ ლეგიონერები არიან. ბაბიაშვილი კარგი მოთამაშეა, მაგრამ, ჩემი არ იყოს, მასაც ტრავმები ჰქონდა ამ სეზონში.

— და მაინც, როგორი იყო შენთვის განვლილი სეზონი?

— თავი, ვერ გამოვიჩინე. ჩემი რეალური შესაძლებლობები ვერ გამოვამჟღავნე, მაგრამ მთლად უკმაყოფილოც არ ვარ. ურთულესი ტრავმის შემდეგ მოვახერხე ფორმის აღდგენა და რამდენჯერმე თავიც გამოვიჩინე.

— შენი უპირატესობა ალბათ ჯანია...

— რა თქმა უნდა, ფიზიკური ძალაც მეხმარება, შეტევაში სამწამიანიდან ხალხის გაყრა არ მიჭირს ხოლმე. თუმც ალბათ მაინც დაცვაში თამაშით გამოვირჩევი, სროლაც არ მაქვს მთლად ცუდი. მოკლედ, მეტ-ნაკლებად ყველაფრის გაკეთება შემიძლია, რასაც მწვრთნელი დამავალებს.

— ვინ იყო განვლილი სეზონის საუკეთესო თავდამსხმელი და ცენტრი?

— თავდამსხმელს ვერ გამოვარჩევ და საუკეთესო ცენტრი დავით ბერძენიშვილი იყო. მის შემდეგ კახა შენგელია.

ირაკლი პერტაია

ჩოგბურთი

ენდიმ ისევ სარეკორდოდ დაარტყა

THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 792 ათასი €

მეოთხედფინალი

ენდი როდიკი (1, აშშ) — **პარადორნ შრიჩაფანი** (7, ტაილანდი) 6:3, 6:3; **სებასტიან გროჟანი** (5, საფრანგეთი) — **რადეკ სტეპანეკი** (15, ჩეხეთი) 6:3, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) 6:3, 7:5; **ჰიუნგ ტაიკ ლი** (სამხრეთ კორეა) — **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) 6:3, 6:4

ნახევარფინალი

როდიკი — **ჰიუიტი** 7:6 (9:7), 6:3; **გროჟანი** — **ლი** 6:7 (4:7), 7:6 (7:3), 6:2

ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ენდი როდიკი საზეო ფორმას უახლოვდება და ამის ნიშნად სარეკორდოდ მოწოდებასაც უხშირა. მეოთხედფინალში მან პარადორნ შრიჩაფანის წინააღმდეგ საათში 153-მილიანი ანუ 246,2-კილომეტრიანი მოწოდება დააქუხა. ეს კი ერთი მილით და შესაბამისად, 1,6 კილომეტრით სწრაფია მის მიერვე აპრილში, შვედეთის წინააღმდეგ ფლორიდულ მზვარეში დევისთასობისას ნაგლაჯუნევზე. 153-მილიანი ჭურვი ენდიბოიმ ორჯერ ნახევარფინალშიც გაისროლა, როცა ტურნირის სამგზის ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი მოდრიკა. არადა, ავსტრალიელს მათი სამი აქამომდელი შეხვედრიდან სამივეში ემძლავრა, ხოლო ქუინზკლაბში სულაც ბოლო 21 მატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხებულიყო. როდიკი შარშანდელი ფინალის რემატჩში ფრანგ სებასტიან გროჟანს შეხვდება, ვინაც თავის მხრივ გაჯიუტებულ კორეელ ლის გასცდა.

GARRY WEBER OPEN
ჰალე. ბალახი
საპრიზო 792 ათასი €

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **არნო კლემანი** (საფრანგეთი) 6:3, 7:5; **რაინერ შუტლერი** (2, გერმანია) — **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) 6:3, 7:6 (7:2); **ირჟი ნოვაკი** (3, ჩეხეთი) — **ტომი ჰაასი** (გერმანია) 6:4, 7:6 (7:1); **მარდი ფიში** (6, აშშ) — **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) 6:2, 6:2

ნახევარფინალი

ფედერერი — **ნოვაკი** 6:3, 6:4; **ფიში** — **შუტლერი** 6:4, 4:6, 7:6 (7:4)

როჯერ ფედერერს იმ დღეს მხოლოდ 52 წუთი დასჭირდა, რათა ზედიზედ მეთექვსმეტე საბალახო მატჩი მოეგო და თავის მეხუთე საამსეზონო ფინალში გასულიყო. წინა ოთხში, თქვენც გეხსომებათ და, ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა ოთხივე მოიგო — ავსტრალიის ღია პირველობაზეც, დუბაიშიც, ინდიანუელსშიც და ჰამბურგშიც. ტიტულების მოგროვების გარდა სხვა რა დამრჩენიაო, იძახდა იმ დღეს ფედერერი. „რეიტინგსიაში პირველ ადგილზე ვარ, ასე რომ ამაზე წინ ვეღარ წავალ. ერთადერთი, რაც შემიძლია, ამ ადგილის შენარჩუნებაა. ეს კი უმთავრესად შარშან მოგებული ტიტულების შენარჩუნებას გულისხმობს.“ ფინალში ის შეხვდება ამერიკელ მარდი ფიშს, ვისთვისაც აქამდე სამ შეხვედრაში სამივე მოუგია და ვინაც იმ დღეს ადგილობრივთა ჯილა შუტლერს აჯობა.

ჰოკეი

ყველაზე ძვირფასი ყველაზე პატარაა

ზედიზედ მესამე წელია, ნჰლ-ის პრიზების განაწილებაზე წერისას სიტყვა „პირველს“ ვერ ავუარეთ გვერდი. შარშანწინ ლიგის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო „ჰარტ ტროფი“, რომელიც სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს ერგება (MVP), პირველად ხვდა წილად შავკანიან ჰოკეისტს, კანადელ ჯერომ იგინლას. შარშან პირველად ერგო ეს პატივი შვედ მოთამაშეს, კოლორადოელ პეტერ ფორსბერგს. ამჯერად კი სეზონის უძვირფასესი ისტორიაში პირველად გახდა ლიგის ყველაზე დაბალი მოთამაშე, ტამპელი „ჯუჯა“ მარტენ სან ლუი.

სან ლუიმ მართლაც საუცხოოდ ჩაატარა ეს სეზონი. ჩემპიონი გუნდის სული და გული იყო და როგორც ჩემპიონატში, ისე პლეი ოფშიც გამოიჩინა თავი. სან ლუიმ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჰოკეიში სიმაღლე ყველაფერს არ წყვეტს.

აღსანიშნავია, რომ მოთამაშეთა ასოციაციის მიერ დაწესებული უძვირფასესის ტიტულიც — „ლესტერ ბ. პირსონ ავარდი“ — სან ლუიმ დაიმსახურა. გარდა ამისა, „ჯუჯას“ გადაეცა „ართ როს ტროფიც“, როგორც საუკეთესო ბომბარდირს (94 ქულა, 38+56). ასე რომ, სან ლუის ერთგვარი ჰეთ თრიქი გამოუვიდა, რაც ბოლოს 1987 წელს დიადმა უეინ გრეცკიმ მოახერხა.

„ჰარტ ტროფის“ კანდიდატები, ნიუჯერსელი მარტინ ბროდო და კალგარელი ჯერომ იგინლაც არ დარჩენილან უპრიზოდ. „ეშმაკთა“ ლიდერი სეზონის საუკეთესო მეკარედ აღიარეს — 38 მოგება, 11 შათაუტი და ზედიზედ მეორედ „ვეზინა ტროფის“ მფლობელი შეიქნა. მან ფლორიდელ რობერტო ლუონგოსა და კალგარელ მიიკა კიპრუსოფს გაუსწრო.

იგინლამ კი „კინგ კლენსის ტროფი“ მიიღო, რომლითაც ყინულზე და მის გარეთ ლიდერის სულისკვეთებით გამორჩეულთ აჯილდოვებენ. ჯერომი ამ პრიზს დიდი სიამოვნებით გაცვლიდა თასზე, მაგრამ...

ეს ცერემონიალი ტამპელთათვის განსაკუთრებით სასიამოვნო გამოდგა. სან ლუის გარდა ჯონ ტორტორელა და ბრედ რიჩარდსიც დააჯილდოვეს. პირველი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და „ჯეკ ადამს ავარდი“ გადასცეს, რიჩარდსი კი პლეი ოფის უძვირფასესი გახდა და „ლედი ბინგ ტროფიც“ დაიმსახურა, როგორც ყინულზე ჯენტლმენური ყოფაქცევით გამორჩეულმა მოთამაშემ. სეზონის საუკეთესო მცველი და „ნორის ტროფის“ მფლობელი ბროდოს თანაგუნდელი სკოტ ნიდერმაიერი გახდა, რომელიც სეხნია სტივენსის არყოფნაში „ნიუ ჯერსის“ დაცვის ბურჯად იქცა.

საუკეთესო ახალბედასთვის განკუთვნილ „კოლდერ ტროფის“ კი ბოსტონის მეკარე ენდრიუ რეიკროფტი დაეპატრონა.

„მორის რიშარ ტროფი“, საუკეთესო სნაიპერთათვის დაწესებული პრიზი სამმა სნაიპერმა გაიყო — ჯერომ იგინლას გარდა 41 გოლი ასევე ნორჩმა კოლუმბუსელმა რიკ ნეშმა და ატლანტელმა ილია კოვალჩუკმა გაიტანეს.

ყველაზე ნაკლები გოლი კი ამ სეზონში „ნიუ ჯერსის“ მეკარეებმა გაუშვეს, რის გამოც ბროდოსა და მის ორ დუბლიორს „უილიამ ჯენინგს ტროფი“ გადაეცათ.

ჰოკეის მიმართ ყველაზე დიდი ერთგულება ჩიკაგოელმა ბრაიან ბერარდმა გამოიჩინა და მან „ბილ მასტერტონ ტროფი“ მიიღო. 2000 წელს ბრაიანმა თვალის ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგაც ჰოკეიში დაბრუნებაზე კი არა, ნორმალურ მხედველობაზეც ზედმეტი იყო ლაპარაკი, მაგრამ იგი მაინც დადგა ციგურებზე და „ქორების“ საუკეთესო მცველადაც კი იქცა.

ოდესღაც მრისხანე „დეტროიტს“ მხოლოდ ერთი პრიზი ერგო — დაცვაში ყველაზე მარჯვე ფორვარდისთვის განკუთვნილი „სელკე ტროფი“, რომლის ლაურეატიც კრის დრეიპერი გახდა.

სეზონის საუკეთესო ექვსეულში ანუ ოლ სტარში ბროდოს, ნიდერმაიერისა და სან ლუის გარდა ასევე მცველი ზდენო ხარა (ოტავა), გარემარბი მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი) და ცენტრფორვარდი ჯო საკიკი (კოლორადო) შევიდნენ.

სამველ ლარიბიანი

ყველაზე დიდი პრიზი „ჯუჯა“ მარტენ სან ლუის შეხვდა

შვიდკაცა. ევროპის სერია. თბილისი. „ლოკომოტივი“. 12-13 ივნისი

ვაჟა კოპალიანის ფოტო

ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი

ანდორა 0:35 საფრანგეთი
უკრაინა 0:12 რუმინეთი
საფრანგეთი 33:0 ისრაელი
უკრაინა 12:22 ანდორა
რუმინეთი 46:0 ისრაელი
საფრანგეთი 40:7 უკრაინა
რუმინეთი 12:14 ანდორა
უკრაინა 53:0 ისრაელი
საფრანგეთი 7:14 რუმინეთი
ისრაელი 0:71 ანდორა

	თ	მ	ფ	წ	სხ	ქ
საფრანგეთი	4	3	0	1	+94	10
რუმინეთი	4	3	0	1	+63	10
ანდორა	4	3	0	1	+48	10
უკრაინა	4	1	0	3	-2	6
ისრაელი	4	0	0	4	-203	4

B ჯგუფი

მოლდოვა 7:19 შოტლანდია
საქართველო 29:12 საქართველო 2
შოტლანდია 52:0 აზერბაიჯანი
საქართველო 12:14 მოლდოვა
საქართველო 2 57:0 აზერბაიჯანი
შოტლანდია 7:29 საქართველო
საქართველო 2 12:21 მოლდოვა
საქართველო 80:0 აზერბაიჯანი
შოტლანდია 53:14 საქართველო 2
აზერბაიჯანი 0:68 მოლდოვა

	თ	მ	ფ	წ	სხ	ქ
საქართველო	4	3	0	1	+117	10
მოლდოვა	4	3	0	1	+67	10
შოტლანდია	4	3	0	1	+61	10
საქართველო 2	4	1	0	3	+12	6
აზერბაიჯანი	4	0	0	4	-257	6

ნახევარფინალი

საფრანგეთი 21:12 მოლდოვა
საქართველო 34:3 რუმინეთი

მე-3 ადგილისთვის

რუმინეთი 35:12 მოლდოვა

ფინალი

საქართველო 31:5 საფრანგეთი

საბოლოო ადგილები

1 საქართველო
2 საფრანგეთი
3 რუმინეთი
4 მოლდოვა
5 საქართველო
6 უკრაინა
7 შოტლანდია
8 ანდორა
9 ისრაელი
10 აზერბაიჯანი

ფარები ჩქარა ვა, მოლდოვა!

შვიდკაცა რაგბის ევროპის სერია საქართველოს ნაკრებმა საკუთარ კედლებში დაიწყო. „ლოკომოტივმა“ ამ ტურნირს მეორედ უმასპინძლა და შარშანდელის დარად, ახლაც ბორჯღალოსნებმა იჩემპიონეს. ორ დღეში ჩატეული სარაგბო ფესტივალი მშვენიერი სანახავი, თუმც მაყურებლით ღარიბი გამოდგა. მოედანზე ოდენ რაგბის მოყვარულებმა მოიყარეს თავი. უფრო სწორედ, მათმა ერთმა მცირე ნაწილმა. სპორტულ სანახაობებზე უბრალოდ გართობის მიზნით მოსიარულე ხალხმა კი როგორც ჩანს, ამ უქმეებზე უკეთესი გასართობი სხვაგან მოძებნა.

არადა ტურნირი შარშანდელს არაფრით ჩამოუვარდებოდა. არც შემადგენლობით და არც მრავალფეროვნებით. საქომაგოც, ამჯერად ორი გუნდი გვყავდა. შვეიცარიის ჩამოუსვლელობის გამო გამოთავისუფლებულ ადგილზე სახელდახელოდ შექმნილი მეორე ქართული ნაკრები მოკალათდა. მისი მწვრთნელობა შარშანდელი თბილისური ეტაპის საუკეთესო მელელოვემ, ამჯერად ტრავმის გამო დასვენებულმა ირაკლი მაჩხანელმა გასწია. შემთხვევით მოხვდა რვა მონაწილეში აზერბაიჯანიც. ორ საქართველოსთან ქვეჯგუფში ჩამჯდარი მეზობლები ტექნიკისგან ძალიან შორს იდგნენ და მხოლოდ ჯაჯგურით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ცხადია არაფერი გამოუვიდათ და პირველი დღეც ისე ჩაითამაშეს, ქულა რაა, ისიც არ აუღიათ. ქართველებმა კი აფრიკელთა ჯავრი მთლიანად აზერებზე იყარეს. მეორე გუნდმა მხოლოდ 57 ქულა იკმარა, ხოლო პირველი 80-მდე ავიდა.

ჯერ კიდევ თამაშების დაწყებამდე გათამაშების ბადისთვის რომ გადაგეხედათ, B ჯგუფში ფავორიტობის კანდიდატს, საქართველოს გარდა მხოლოდ შოტლანდიას შენიშნავდით, მოლდოვას კი აზერბაიჯანის ტოლ გუნდად ჩათვლიდით. თუმც „საბჭოელმა რუმინელებმა“ უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს. სქოთებთან მარხცის მერე საოცრად ათამაშდნენ და ორივე საქართველო დაგვიმარცხეს.

ზაზა ლეჟავას გუნდს ნახევარფინალის შანსი ამ წარუმატებლობის შემდეგაც შერჩა და მოგვიანებით კარგადაც გამოიყენა, მაგრამ მაჩხანელის ბიჭებმა სატურნირო მდგომარეობა სასტიკად გაირთულეს. კვირას, ბოლო ტურში შოტლანდიასთანაც წააგეს და საბოლოოდ მეოთხე ჯგუფურ ადგილსღა დასჯერდნენ. ისე მოხდა, სამეულმა ერთნაირი ქულები დააგროვა. ბურთების უკეთესი შეფარდებით კი პირველი-მეორე ადგილები საქართველომ და მოლდოვამ გაინაწილეს.

A ჯგუფშიც იგივე განმეორდა. საფრანგეთმა, რუმინეთმა და ანდორამ 10-10 ქულა აიღეს, მაგრამ პირველ-ორს მეტი ლელო გაეტანა და ანდორაც სანუგეშო ნახევარფინალს დასჯერდა. ეს ნაკრები თბილიური ტურნირის დებიუტანტი იყო და თამამად შეიძლება მის აღმოჩენადაც დავასახელოთ, მოლდოვასთან ერთად. პატარა სახელმწიფოს შვილებმა ქართველი გულშემატკივრის სიმპათიები თავიდანვე დაიმსახურეს და უამისობა არც ერთ შეხვედრაში არ უგრძვნიათ, გარდა სანუგეშო ნახევარფინალისა, რომელიც მაჩხანელის გუნდთან 5:10 წააგეს.

თავისი უპირობო აუტსაიდერი A ჯგუფსაც ჰყავდა. მოედნის მიღმა საოცარი დაცვით თავმომწონე ისრაელმა მოედანზე ხეირიანი ვერაფერი ქნა, მეტოქეთა 203 ქულას ერთი საჯარიმოთიც კი ვერ უპასუხა და მეცხრე ადგილისთვის, მასსავით გასაცოდავებულ, ოღონდ დაცვის გარეშე მოსიარულე აზერბაიჯანელებს დაუპირისპირდა. ტრიბუნებზე ირონიანარევ პროგნოზებსაც მოისმენდით, აქაოდა 0:0-ის თამაშიაო, მაგრამ აუტსაიდერები ისე გაიხსნენ, ყველა გაამხიარულეს. საბოლოოდ ებრაელებმა იყოჩალეს 31:17.

ამ სასაცილო თამაშამდე ძირითადი ნახევარფინალებიც შედგა. ფინალში შარშანდელივით, საქართველო და საფრანგეთი გავიდნენ. ფრანგებმა კერკეტი მოლდოვა მეორე ტაიმშიღა გატეხეს, ხოლო ლეჟავას ბიჭებმა რუმინელებს მცირე შანსიც არ დაუტოვეს. აქვე ერთ ჩვენს აზრსაც მოგახვევთ თავს. კვირას ბორჯალოსნებმა გაცილებით გამართული თამაში აჩვენეს, ვიდრე წინა დღეს. ეს დასკვნა ფინალმა კიდევ უფრო გაგვიმყარა. ფარი რომ საქართველოში დარჩებოდა ტრიბუნებზე მყოფნი სწყისი წუთებიდანვე დარწმუნდნენ. მანამდე თითქმის უნაკლოდ მოთამაშე ფრანგები ფინალში აირდაირივნენ და ოდენ ერთი გარდაუსახავი ლელო მოინაგრეს. ქართველებმა კი მათ ჩათვლის მოედანში ხუთჯერ გაინავარდეს.

მეორე დღე უკეთ ჩაატარა მაჩხანელის სამწყსომაც. ანდორას უკრაინაც მიაყოლა და მცირე ფარს დაეუფლა.

ძირითადი ტურნირის პარალელურად საკლუბო და ბავშვთა შვიდკაცებიც ვიხილეთ. კლუბებში საუკეთესო „ყოჩები“ გახდა, ხოლო „რაგბის სკოლა“-ში ქუთაისის 27-ე სკოლა, რომელმაც ფინალში შარშანდელ ჩემპიონს, პატარძეულელ „ვეფხვებს“ სძლია.

ოთარ მაღლაკელიძე

ვაჟა კოპალიანის ფოტო

ნონო ანდღულაძე ფინალში ფრანგებს ალელავებს

ბადრი კოპალიანის ფოტო

ვუყუროთ და ვისწავლოთ!

ამხანაგური მუშტები ლოკომოტივზე



ბადრი კოპალიანის ფოტო

„ბლუ ბულზის“ ხუთი მოთამაშე, სამხრეთ აფრიკის ნაკრებში იყო გამოძახებული და „ხარები“ თბილისში მათ გარეშე ჩამოვიდნენ;

გარდა ამისა:

მწვრთნელმა ჰაიკე მაიერმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენა და შემადგენლობა ახალგაზრდებით შეავსო;

და კიდევ:

აფრიკელებს თავი არ მოუკლავთ. რაგბის თამაშს ძნელად დაარქმევ ამხანაგურს, მით უმეტეს ძალისმიერ და უხეშ აფრიკელებთან, მაგრამ „ხარები“ მაინც შედარებით რბილად ეთამაშებოდნენ საქართველოს კლუბების ნაკრებს;

და, მოდით, აფრიკელთათვის უცხო გარემოსა და სტადიონს ქართველთა დამხმარე გარემოებად ნუ ჩავთვლით...

...ახლა კი ანგარიშს დახედეთ

ჩვენი კლუბები 15:73 ბლუ ბულზი



ძალიან ბევრი ლელო გაგვიტანეს ბურებმა, ზუსტად ვერ მოგახსენებთ, რამდენი, რაკი ოქმის შედგენა არავის მოსვლია აზრად. ჩვენმა მოყვარულებმა სულ ცოტა ათი ლელო გაუშვეს აფრიკელი პროფესიონალებისგან. ეს რიცხვი შეიძლებოდა ბევრად დიდი ყოფილიყო, მაგრამ აფრიკელები აქ ხომ ექსკურსიაზე ჩამოვიდნენ.

თითქოს ჯადოსნური არაფერი გაუკეთებიათ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, თან ჩვენებისთვის შინაურ, ძალისმიერ რაგბის თამაშობდნენ, მაგრამ მაინც იმდენი ლელო გაიტანეს, რამდენიც მოუნდათ. პროფესიონალები არიან და თავისთავად ქართველებზე ჯანიანები, სწრაფები და ტექნიკურები. ამას დაუმატეთ ძვალში, რბილში, სისხლში და გონებაში გამჯდარი ურთიერთობა ოვალურ ბურთთან და... კიდევ ერთხელ დახედეთ ანგარიშს.

ამ ყველაფერის მიუხედავად, ქართველები მაინც ყოჩაღად იდგნენ და როგორც შეეძლოთ, ეთამაშებოდნენ სპილოსავით დიდ და ქურციკივით სწრაფ მეტოქეებს. ორი ლელოც გაუტანეს, ერთი ძალისმიერი, მეორე შედარებით მოხდენილი. აღსანიშნავია, რომ ის ძალისმიერი ლელო ქართველებმა მაშინ გაიტანეს, როცა აფრიკელებს სამი კაცი 10-10 წუთით გაძევებული ჰყავდათ. როგორია? სამი კაცი!

ზევითაც ვთქვით, აფრიკელებმა ნაკლებად იუხეშეს, ვიდრე ეს მოსალოდნელია ამ ძვლებისმტვრეველი სარაგბო ერისთვის. მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა, მსაჯს მათთვის ხშირ-ხშირად რომ მიეთითებინა სათადარიგოთა სკამისკენ. ალაგ-ალაგ ჩვენებურებს და აფრიკელებს შორის გაწევ-გამოწევის კერა იფეთქებდა, ხოლო ერთხელ, თამაშის ბოლოსკენ ბობა კვინიხიძესა და სტუმართა გოლიათ მეორეხაზელ გეო კრონხეს შორის იქნებ დიდი დაკა-დაკა ამტყდარიყო. ეტყობა ბინძური თამაშისთვის სამაგიეროს უზღავდა, კვინიხიძემ ერთი-ორი ბარაქინადა უთავაზა. კრონხე ზე-12-ში მუშტებსაც და წიხლებსაც შეჩვეულია, არ უპასუხა ჩვენებურს, წამოდგა და ვითომც არაფერიაო, თავისიანთა რიგებისკენ გაძუნძულდა. ალბათ რაღაცაში ტყუოდა.

ჟურნალისტთა ლოჟაში, შორიახლო „ლოკომოტივის“ და საქართველოს ნაკრების გარემარბის ნონო ანდღულაძის მამა იჯდა და ერთ ბრგე და გალიმებულ უცხოელ მოხუცს სიტუაციაში არკვევდა. ეს მოხუცი კი ავსტრალიის ნაკრების და ზე-12-ის ჩემპიონ „ბრამბიზის“ ძირითადი 10 ნომრის სტივენ ლარქემის გამზრდელი მწვრთნელი გამოდგა. სამხრეთაფრიკელები აშკარად არ მოსდიოდა თვალში. ზე-12-შიც ასე თამაშობენ, სულ უხეშობენ და ჯარიმდებიან“ — თქვა მან და მერე სიამაყით დასძინა, ჩვენები ამათ სულ უგებენო.

ასეა, სამხრეთ აფრიკა ბოლო დროს ოდნავ ჩამორჩა სხვა სამხრეთელ დევებს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას. მაგრამ ჩვენ რა ხეირი? ის ხეირი, რომ ამხელა გუნდს ლოკომოტიველმა ბიჭებმა ორი ლელო გაუტანეს, ხალხმა კი კარგი გუნდი ნახა.

თუმცა ვერც ნახა, გუშინწინ „ლოკომოტივზე“ ათასი კაცი ან ცოტა მეტი თუ მოგროვდებოდა. იმედია, ხალხო, 16 ივნისს რუსთავში და 20 ივნისს „ეროვნულზე“ მეტნი ვიქნებით.

ვუყუროთ მათ, ვინც იცის და ვისწავლოთ, ჩვენ ხომ ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი გვაქვს სასწავლი.

ირაკლი ფირაშვილი

შაბათს, როცა თბილისში „ლოკომოტივზე“ პრეტორიის „ბლუ ბულზი“ შეთხელებული შემადგენლობით ამარცხებდა საქართველოს კლუბების ნაკრებს, ძირითადად კი „ლოკომოტივს“, ამ [illegible] ქვეყნით, ბურების მიწაზე, ბლუმფონტეინში მათი თანამემამულე „ქურციკები“ ირლანდიაზე ცდიდნენ ძალას. „ქურციკთა“ 15 ძირითადში 5 „ხარი“ იყო და მათგან ჩვენთვის ყველაზე ახლოს ნაცნობმა ბაკიზ ბოთამ ორი ლელო გაიტანა.

საერთაშორისო რაგბის კალენდარში ეს უქმეები ტესტებისთვის მოენიშნათ და სამხრეთ ნახევარსფეროს კიდევ სამ სარაგბო ოაზისში, ავსტრალიაში (მელბურნში), ახალ ზელანდიასა (დანიდინში) და არგენტინაში (ტუკუმანში) იქაურები ჩრდილოელებს, შესაბამისად შოტლანდიას, ინგლისსა და უელსს მასპინძლობდნენ. სამივე ჩრდილოელმა წააგო (ირლანდიასთან ერთად ოთხივემ). ამასთან მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისელები 3:36 განადგურდნენ ახალ ზელანდიასთან.

გოთა გოთმ არ გეგონოთ

ხარები აქ, ხარები იქ

12 ივნისი. ბლუმფონტეინი

ს. აფრიკა 31:17 ირლანდია

სამხრეთ აფრიკა: ხაფი დიუ ტუა, ბრეიტონ პოლსი, მარიუს ჟუბერი, უეინ იულიუსი, ჰენო მენცი; იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, ფური დიუ პრეეცი; ჟაკ კრონხე (გერი ბრიცი), პედრი ფანენბურგი, შალკ ბურგერი, ვიქტორ მეტფილდი, ბაკიზ ბოთა (კვინტონ დევიდსი), ედი ენდრიუსი (სიჯეი ფან დერ ლინდე), ჯონ სმიტი (კაპ), ოზ დიუ რანტი

„ხარები“ მსხვილი შრიფტით არიან გამორჩეულები

4 ლელო: ბოთა (2), იულიუსი, ფანენბურგი
1 გარდასახვა: დიუ ტუა
3 საჯარიმო: დიუ ტუა (3)

ირლანდია: გირვან დემფსი, შეინ ჰორგანი, გორდონ დარსი (კევინ მაგსი), ბრაიან ოდრისკოლი, ჯორდან მერფი; რონან ოგარა, პეტერ სტრინგერი; ენტონი ფოლი, დევიდ ვოლესი (ალან ქვინლანი), საიმონ ისტერბი, პოლ ოკონელი, მალკოლმ ოკელი, ჯონ ჰეიესი, შეინ ბირნი (ფრენკი შეანი), რეჯი კორიგანი

1 ლელო: ჰორგანი
3 საჯარიმო: ოგარა (3)
1 არეკნი: ოგარა

სამხრეთაფრიკელთა ახალმა თავკაცმა ჯეიკ უაიტმა სანაკრებო კარიერა დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო. „ქურციკებს“ ბევრი ახალი მოთამაშე ჰყავდათ და მათგან არაერთმა თავიც გამოიჩინა, მაგრამ ირლანდიელებს ყველაზე მეტი პრობლემა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა ბაკიზ ბოთამ გაუჩინა. ბოთა ორჯერ დაჯახებია ქართველებს — 2001 წელს თბილისში და 2003 წელს სიდნეიში და ორივეჯერ დაულელოვებია ჩვენები. ეს ახმახი, მაგრამ უკანახაზელივით მოქნილი და მარდი ფორვარდი ახლა სამხრეთ აფრიკის შერკინების მეორე ხაზში „ბულზში“ თანაგუნდელთან და კაპიტანთან ვიქტორ მეტფილდთან ერთად იდგა. სიტყვა იდგა პირობითად ვიხმარეთ, რაკი იგი უფრო დარბოდა, ვიდრე იდგა და მატჩის დასაწყისშივე გაუტანა ლამაზი ლელო „სამყურებს“. უკვე მე-3 წუთზე დაწინაურებულ აფრიკელებს იმის დარდი ჰქონდათ, მათ 15 ნომერი ხაფი დიუ ტუა როგორ დაარტყამდა საჯარიმოებს და გარდასახვებს, რაკი ხაფი ხასიათის მოთამაშედ ცნობილა და კარგ მატჩებთან ერთად საშინელი ჩავარდნებიც აქვს ხოლმე. აკი ვერ გარდასახა ბოთას ლელო და შემდეგი სამი ლელოდან მხოლოდ ერთს მოაყოლა საბონუსე ორი ქულა, მაგრამ ჯარიმები ოდნავ უკეთ ურტყა და სამი გაიტანა. მაგრამ ესეც რომ არა, ირლანდია მაინც არ ჩანდა იმ დღეს „ქურციკთა“ დამწევი.

12 ივნისი. მელბურნი

ავსტრალია 35:15 შოტლანდია

ავსტრალია: ჯო როფი, ვენდელ სეილორი, მეტ ჟიტუ, კლაიდ რეთბონი, ლოთე ტუკირი; სტივენ ლარქემი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); დევიდ ლაიონზი, ჯორჯ სმიტი, რედიკ სომო, ნათან შარპი, ჯასტინ ჰარისონი, ბრენდან კენონი, ბილ იანგი

4 ლელო: ჟიტუ, ტუკირი (2), სეილორი
3 გარდასახვა: როფი (2), ბერკი
3 საჯარიმო: როფი (3)

შოტლანდია: 5 საჯარიმო: პარკსი (5)

12 ივნისი. დანიდინი

ახ. ზელანდია 36:3 ინგლისი

ახალი ზელანდია: მილს მულიაინა, დაგ ჰაულეტი, ტანა უმაგა (კაპ), დანიელ კარტერი, ჯო როკოკოკო; კარლოს სპენსერი, ჯასტინ მარშალი; ქსავიე რაში, რიჩი მაკქოუ, იონო გიფსი, კიტ რობინსონი, კრის ჯეკი, კარლ ჰეიმანი, კევინ მეალამუ, ქიის მიიუსი

3 ლელო: სპენსერი, როკოკოკო, ჰაულეტი
3 გარდასახვა: კარტერი (3)
5 საჯარიმო: კარტერი (5)

ინგლისი: ჯოშ ლიუსი, ჯეიმს სიმპსონ-დანიელი, მაიკლ ტინდალი, მაიკლ ქეთი, ბენ კოენი; ჩარლი ჰოჯსონი, მეტ დოუსონი; ლოურენს დალალიო (კაპ), რიჩარდ ჰილი, კრის ჯონსი, დენი გრივკოკი, ჯულიან ვაიტი, სტივ ტომპსონი, ტრევორ ვუდმენი

1 საჯარიმო: ჰოჯსონი

12 ივნისი. ტუკუმანი

არგენტინა 50:44 უელსი

არგენტინა: 6 ლელო: ლონგო, ბორხესი (2), ფ. კონტეპომი, გაიტანი, მ. კონტეპომი
4 გარდასახვა: ფ. კონტეპომი (4)
4 საჯარიმო: ფ. კონტეპომი (4)

უელსი: 5 ლელო: პილი, ფორსტერი, შარვისი, პარკერი, ლუსკომბი
5 გარდასახვა: ჰენსონი (5)
3 საჯარიმო: ჰენსონი (3)

REUTERS

ბაკიზ ბოთამ ირლანდია ორგზის დაალელოვა

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მერვე ეტაპი

მიხაელი უპოულოდაც პირველობს

კანადური ეტაპის წინ მეძრავეებმა BAR-ს და „რენოს“ ახალი, უფრო ძლიერი „გულები“ დაუმზადეს და პილოტებიც მონრეალში იმედიანად ჩავიდნენ. მაგალითად, ბარელთა „ჰონდას“ მოტორი 925 ცხენის ძალიანია, „ფერარიზე“ ათი-თხუთმეტით მეტი.

საკვალიფიკაციო შედეგებიც ბარ-რენოსთვის მოსალოდნელზე ოპტიმისტური გახლდათ: ჯენსონ ბატონი, იარნო ტრული და ფერნანდო ალონსო ხუთეულში აღმოჩნდნენ, თვით მიხაელ შუმახერსა და რუბენს ბარიკელოზე წინ. ამასთან, ბატონის ბარ-მა 4,3-კილომეტრიან „ჟილ ვილნევს“ მიხაელის სისხლისფერ ბედაურზე ზუსტად წამით უფრო სწრაფად შემოუქროლა, რითაც, 24 წლის ინგლისელი დიდ გულზე მოვიდა: „დაუჯერებელია, რომ წრე მიხაელზე ერთი წამით სწრაფად გავიქროლე. ცხადია, მსიამოვნებს, რომ ჩემსა და მას შორის სტარტზე სამი მანქანა იქნება. დარწმუნებული ვარ, რბოლაში მაყურებლები „ფერარის“ მორიგ დუბლს ვერ იხილავენ. აქამდე ეს ტრასა ჩემთვისაც და საერთოდ ბარი-სთვის უიღბლო იყო, ხვალ კი ამას უეჭველად ბოლოს მოვუღებთ.“

პოული წლეულს პირველად, რვაწლიან კარიერაში კი მეხუთედ უმცროსმა შუმახერმა დაისაკუთრა. რალფი შარშანაც ყველაზე სწრაფი იყო მონრეალში, ხოლო რბოლის ფინიშთან მეორე მივიდა ძმის შემდეგ. შაბათს ფერარელების მეექვსე და მეშვიდე შედეგი რბოლაში სხვებზე გვიანი პიტსტოპის მანიშნებელი იყო.

ვარაუდი გამართლდა და წითლებს სასურველი შედეგიც მოუტანა: მიხაელმა და რუბენსმა კონკურენტებზე ერთით ნაკლები, თანაც ბევრად გვიანი პიტსტოპების წყალობით სასტარტო პასივი უპრობლემოდ გააბათილეს და ამჯერადაც დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) გაიმარჯვებდნენ, ბარიკელოს შეცდომა რომ არ დაეშვა.

ეს მიხაელ შუმახერის 77-ე დიდი პრიზია, მეშვიდე წლეულს და კანადაშიც, რაც ერთ ქვეყანაში მოგებების რეკორდიცაა. პატარა შუმი მიმდინარე სეზონში პირველად შედგა პოდიუმზე, ხოლო ბარიკელომ და ბატონმა ზედიზედ ქულებიანი მეცხრე რბოლები მიითვალეს. აღსანიშნავია მეექვსე ადგილოსანი ჯანკარლო ფიზიკელაც — მას კარიერაში 99 ქულა დაეგროვებინა და ფორმულის 55-წლიან ისტორიაში გუშინ 55-ე მძღოლი შეიქნა, ვინც ასქულიანი ზღვარი დაძლია.

ოცმძღოლიანი ქარავანში წლეულს პირველი ცვლილება მოხდა — ედი ჯორდანმა უხეიროდ მოჯირითე ჯორჯო პანტანო მოხსნა და ერთ-ერთი თავისი ბოლიდი გუნდის სათადარიგო მძღოლს, გერმანელ ტიმო გლოკს ჩააბარა. არადა, ლაპარაკი ვეტერან ჰოლანდიელ იოს ფერსტაპენზე იყო, მაგრამ გასაკვირი სულაც არაა, უცნაურ ედის დღეში ხომ ცხრა პარასკევი აქვს. ტიმომ თავი არ შეირცხვინა, მართალია სუპერჩემპიონ თანამემამულე „წითელ ბარონს“ ორი წრით ჩამორჩა, მაგრამ ახალბედას კვალობაზე მე-11 ადგილი სულაც არაა ურიგო.

გია ახალაძე

შუმახერების ძმური დუბლი

რბოლის შედეგები

კანადის დიდი პრიზი
13 ივნისი. მონრეალი
დისტანცია 70 წრე — 305,270 კმ

1	(6)	მ.შუმახერი (ფერარი)	1:28.24,803 (207,2 კმ/სთ)
2	(1)	რ.შუმახერი (უილიამსი)	ჩამორჩა 1,062
3	(7)	ბარიკელო (ფერარი)	5,108
4	(2)	ბატონი (B.A.R)	20,409
5	(4)	მონტოია (უილიამსი)	21,200
6	(11)	ფიზიკელა (ზაუბერი)	1 წრით
7	(8)	რაიკონენი (მაკლარენი)	1 წრით
8	(12)	და მატა (ტოიოტა)	1 წრით
9	(9)	კულჰარდი (მაკლარენი)	1 წრით
10	(13)	პანი (ტოიოტა)	1 წრით
11	(16)	გლოკი (ჯორდანი)	2 წრით
12	(15)	ჰაიდფელდი (ჯორდანი)	2 წრით
13	(10)	კლიენი (იაგუარი)	3 წრით
14	(18)	ბაუმგარტნერი (მინარდი)	4 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(-)	მასა (ზაუბერი)	გაიარა 62
(17)	სატო (B.A.R)	48
(5)	ალონსო (რენო)	44
(-)	ბრუნი (მინარდი)	30
(14)	ვებერი (იაგუარი)	6
(3)	ტრული (რენო)	0

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

კვალიფიკაცია
რალფ შუმახერი — 1.12,275 (217,2 კმ/სთ)

რბოლაში საუკეთესო წრე
მიხაელ შუმახერი — 1.13,622 (213,2 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

	ავსტრალია 7 მარტი	მალაიზია 21 მარტი	ბაჰრეინი 4 აპრილი	სან მარინო 25 აპრილი	ესპანეთი 9 მაისი	მონაკო 23 მაისი	ევროპა 30 მაისი	კანადა 13 ივნისი	აშშ 20 ივნისი	საფრანგეთი 4 ივლისი	დ.ბრიტანეთი 11 ივლისი	გერმანია 25 ივლისი	უნგრეთი 15 აგვისტო	ბელგია 29 აგვისტო	იტალია 12 სექტემბერი	ჩინეთი 26 სექტემბერი	იაპონია 10 ოქტომბერი	ბრაზილია 24 ოქტომბერი	ჯამი
1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია	10	10	10	10	10	–	10	10											70
2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია	8	5	8	3	8	6	8	6											52
3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი	3	6	6	8	1	8	6	5											43
4 ტრული რენო, იტალია	2	4	5	4	6	10	5	–											36
5 მონტოია უილიამსი, კოლუმბია	4	8	–	6	–	5	1	4											28
6 ალონსო რენო, ესპანეთი	6	2	3	5	5	–	4	–											25
7 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია	5	–	2	2	3	–	–	8											20
8 სატო B.A.R., იაპონია	–	–	4	–	4	–	–	–											8
9 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია	–	–	–	–	2	–	3	3											8
10 მასა ზაუბერი, ბრაზილია	–	1	–	–	–	4	–	–											5

კულჰარდი (მაკლარენი), და მატა (ტოიოტა) — — 4 ქულა; ვებერი (იაგუარი), რაიკონენი (მაკლარენი) — 3; ჰაიდფელდი (ჯორდანი) — 2; პანი (ტოიოტა) — 1

	ავსტრალია	მალაიზია	ბაჰრეინი	სან მარინო	ესპანეთი	მონაკო	ევროპა	კანადა	აშშ	საფრანგეთი	დ.ბრიტანეთი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	ჩინეთი	იაპონია	ბრაზილია	ჯამი
1 ფერარი	18	15	18	13	18	6	18	16											122
2 რენო	8	6	8	9	11	10	9	–											61
3 B.A.R.	3	6	10	8	5	8	6	5											51
4 უილიამსი	9	8	2	8	3	5	1	12											48
5 ზაუბერი	–	1	–	–	2	4	3	3											13

მაკლარენი — 7 ქულა, ტოიოტა — 5, იაგუარი — 3; ჯორდანი — 2

ფეხბურთი

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XLI ტური
ალხესირასი 0:1 ნუმანსია
ალმერია 2:1 სპორტინგი
კორდობა 1:0 ელჩე
ალავესი 1:0 სიუდად მურსია
ხეტაფე 2:1 ეიბარი
ლას პალმასი 2:1 ტერასა
ლევანტე 2:0 პოლი ეხიდო
მალაგა B 2:2 ტენერიფე
უელვა 3:1 ლეგანესი
სალამანკა 1:1 რაიო ვალეკანო
ხერესი 1:1 კადისი

იტალია

სერია C1/A. პლეი ოფი
ჩეზენა 1:1 ლუმეცანე
სერია C1/B. პლეი ოფი
ვიტერბეზე 0:0 კროტონე

მექსიკა

კლაუსურა
პლეი ოფი. ფინალი
უნამი 0:0(პენ.5:4) გვადალახარა

ნორვეგია

ტიპელიგა. XI ტური
ბოდიო გლიმტი 0:4 ლილესტრიომი
ბრანი 4:2 ფრედრიკსტადი
ჰამ კამი 5:1 მიოლდე
ლინი 2:0 ვიკინგი
სოგნდალი 2:1 ვოლერენგა
ტრომსიო 2:0 ოდ გრენლანდი
სტაბეკი — რუსენბორგი
დღეს გაიმართება

I დივიზიონი. XI ტური
ალესუნდი — ბრინი 1:0; ჰაუგესუნდი — სანდეფიორდი 0:3; მანდალი — ჰიოდი 5:2; მოსი — ჰიონეფოსი 4:1; პორს გრენლანდი — ტრომსდალენი 3:0; სკეიდი — ვარდ ჰაუგესუნდი 2:2; სტრომგოდსეტი — რაუფოსი 1:2; კონგსვინგერი — სტარტი 0:2

დანია

I დივიზიონი. XXIX ტური
ჰორსენსი — ბ-1913 2:4; ბ-93 — ვაილე 1:0; ბრიონშიოი — რანდერსი 2:4; ფკ ორჰუსი — ნორდიულანდი 1:1; ფრემადი — ნიკიობინგი 3:1; კიოგე — ფრედერისია 5:1; იოლსტიკე — სკიოლდი 1:2; სიონდერიულანდი — სილკებორგი 0:3

შვედეთი

სუპერეტა. X ტური
ფრისკა — ფალკენბერგი 1:3; ასირისკა — გეფლე 1:0; ატვიდაბერგი — ნორჩიოპინგი 1:2; ბრაგე — ბოდენი 1:3; ბრომაპოიკარნა — ვასტერასი 4:1; ენჩიოპინგი — გაის 1:1; ჰეკენი — კაფე ოპერა 2:0; იოსტერსი — ფრიოლუნდა 0:1

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IX ტური
იარო — ჯაზი 3:1; ჰიკ — ტამპერე 0:0; კტპ — როვანიემი 3:0

იყიდება!

პერსონალური კომპიუტერები
პენტიუმ 1 (200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB, HDD — 1,2 GB, ვიდეო მეხსიერება — 1 MB, Sound+Sp., FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15"
პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB , HDD — 2,0 GB, ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board), Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15"
ფასი — 100 $
ტელეფონი: 39-48-29,93-16-08

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge